გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

სამტრედიის მაცნე

N7 (9223) 10 მარტი. 2017 წელი ფასი 50 თეთრი

"გეუბნებით მეგობრულად, გაფრთხილებთ როგორც გამგებელი" 2

"დედის ღიმილში აფეთქებული გაზაფხულია"

აზიური თვალსაზრისი – ამაზე დიდი მტერი ვინ შემოვა საქართველოში 3

საუბრები საზოგადოების ჩართულობაზე

მაკაროვი ცივია სანამ გაისვრის 6

მინდა, ეს პრინციპები ჩემს ყოველდღიურობაში დავიცვა 8

დახვრეტილი თაობა

4

საკუთარი ნერვი გაიმეტა ცხოვრების ხერხემლად რომ გაეხადა

ბოლო აბზაცი გამოტოვეთ 5

საკადრო ცვლილება სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებაში

“გეუბნებით მეგობრულად, გაფრთხილებთ როგორც გამგებელი”

ნინო ნანიტაშვილი

ორშაბათის ტრადიციული თათბირი სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ქალბატონებთან მიმართვით დაიწყო. ვალერიანე ფოცხვერიამ დედის დღე და 8 მარტი მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ყველა მანდილოსანს მიულოცა და წარმატება უსურვა. რაიონის თავკაცმა გაზაფხულის დადგომასთან დაკავშირებით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამტრედიის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსისგან ინფორმაცია მოითხოვა.

მამუკა კვანტალიანის თქმით, სამტრედიაში ტექნიკის რაოდენობა საკმარისია, ხვნა-თესვის პროცესი ნორმალურად რომ წარიმართოს: “ამ ეტაპზე სამტრედიის მუნიციპალიტეტს 30-მდე ტრაქტორი მოემსახურება. 56 ერთეული ტექნიკა კერძო სექტორშია. თუ საჭირო გახდა, სახელმწიფო სექტორიდანაც მოვიძიებთ ტრაქტორებს. ვინაიდან წელს დახვნის პროგრამა აღარ იმუშავებს, თანხას მოსახლეობა გადაიხდის. ტარიფი კვირის ბოლოსთვის იქნება დადგენილი. მთავარი პრობლემა აზიური ფაროსანაა. “იუსაიდი” 9 მარტს ტრეინინგს ატარებს, სადაც მონაწილეობას ჩვენც მივიღებთ. გავიღრმავებთ ცოდნას, როგორ უნდა ვაწარმოოთ მონიტორინგი. შარშანდელი თხილის მოსავლის უვარგისობა აზიური ფაროსანათია გამოწვეული. მავნებელს არც ყინვა ჰკლავს და სავარაუდოდ, როგორც კი გათბება, გამოიღვიძებს და შეესევა მცენარეებს”.

ვალერიანე ფოცხვერია დაინტერესდა, თუ რატომ არ აისახა სამტრედია დაზარალებულ მუნიციპალიტეტთა ნუსხაში და იქვე მამუკა კვანტალიანს გაფრთხილება მისცა: “ამ საკითხით აქტიურად დაინტერესდა ჩვენი მაჟორიტარი. გია მიქელაძემ კომიტეტის სხდომაზე სამტრედიის მოსახლეობა დაიცვა. მაინტერესებს, რატომ გამორჩათ სიაში ჩვენი მუნიციპალიტეტი. გეუბნებით მეგობრულად, გაფრთხილებთ როგორც გამგებელი თუ ეს თქვენი მიზეზია, დროულად არ მიაწოდეთ ზარალის შესახებ ინფორმაცია, პასუხს აგებს თქვენი სამსახური”.

ვალერიანე ფოცხვერია ჯარში საგაზაფხულო გაწვევითაც დაინტერესდა. ზაზა კაჭახიძის ინფორმაციით, გაწვევა დაწყებულია. გეგმა დიდია. 40-დან, დღეის მდგომარეობით, 13 ახალგაზრდაა გაწვეული: “ვისარგებლებ შემთხვევით და პრესისა და ტელევიზიის მეშვეობით განცხადებას გავაკეთებ, ურჩ და დაუმორჩილებელ წვევამდელებს საჯარიმო სანქციები არ ასცდებათ. აქვე მადლობას გადავუხდი სოფლებში გამგებლის წარმომადგენლებს გაწვევის საქმეში გაწეული დახმარებისთვის”.

ელგუჯა კალაძის სამსახურს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ქალაქის ინფრასტრუქტურის გაკეთილშობილებისაკენ მოუწოდა. კერძოდ, მას შადრევნების მოწესრიგება დაავალა. ასევე, გამოიკვლიონ ის კერძო კომპანიები, რომელთა კაბელები ქალაქს აბლაბუდასავით აქვს მოდებული. ამ კუთხით ინფორმაციის მოძიება ქონების მართვის სამსახურის უფროსს, ნოე ივანიაძეს მოსთხოვა.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა სამადლობელი სიტყვები არ დაიშურა კომუნალური გაერთიანებისა და მისი უფროსის, კობა ბიბილეიშვილის მისამართით. ითქვა ისიც, რომ ახალი სატრანსპორტო ტექნიკის დამატებას ახალი მარშრუტის დამატება მოჰყვება, რომლის მეშვეობითაც სოფლებიდანაც გაიტანენ ნაგავს, მაგრამ არა ქალაქის დაკნინების ხარჯზე.

გამგებლის პირველი მოადგილე, დავით ბახტაძე მოსახლეობისაგან მეტ პასუხისმგებლობას და გულიან დამოკიდებულებას მოითხოვს: “ძალიან ცუდია, რომ სამტრედიელები კომუნალური სამსახურის თანამშრომლების შრომას უდიერად ეპყრობიან. მოსახლეობა უნდა მიეჩვიოს წესრიგს და ამოიგდოს თავიდან აზრი, მე დავანაგვიანებ და სხვები დაასუფთავებენო. კანონის გამკაცრება და საჯარიმო სანქციები უნდა გატარდეს, მსგავსი რამის გაკეთების სურვილი რომ დავუკარგოთ ასეთი კატეგორიის ადამიანებს”.

6 მარტს საკრებულომ მორიგი სხდომა გამართა

ლევან გაბეჩავა

“გაზაფხულის შემობრძანებას, დედის დღესა და ქალთა საერთაშორისო დღეს გილოცავთ დარბაზში წარმოდგენილ ქალბატონებს, თქვენი სახით ყველა მანდილოსანს. სიკეთე, ოჯახური სიმშვიდე და კეთილდღეობა ყოფილიყოს ყოველი ქალბატონის ცხოვრების მეგზური!” _ ამ სიტყვებით დაიწყო 6 მარტს საკრებულოს მორიგი სხდომა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ბატონმა ნუგზარ ჯამბურიამ.

დამტკიცდა დღის წესრიგი.

განსახილველ საკითხთა ირგვლივ სხდომას საკრებულოს კომისიათა თავმჯდომარეებმა, ბატონებმა შალვა არზუმანიანმა და მერაბ უღრელიძემ მოახსენეს.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ, საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა მანანა სირბილაძემ მოახსენა.

განკარგულების ძალაში შესვლიდან 10 დღის ვადაში საკრებულოს თავმჯდომარემ უნდა უზრუნველყოს გენდერული თანასწორობის საბჭოს ფორმირება და საბჭოს სხდომის მოწვევა.

საბჭო თავის საქმიანობაში იხელმძღვანელებს საქართველოს კონსტიტუციით “გენდერული თანასწორობის შესახებ” საქართველოს კანონით, საკრებულოს რეგლამენტით, სხვა ნორმატიული აქტებით.

დღის წესრიგის ამოწურვის შემდეგ, საკრებულოს წევრმა ბატონმა მამუკა ბიბილეიშვილმა მიულოცა საზოგადოებას სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება “რუსთავი 2-ის” საქმეზე უზენაესი სასამართლოს მიერ აღსრულების მექანიზმის შეჩერების თაობაზე, რასაც საკრებულოს უმრავლესობის მიერ დარბაზის დატოვება მოჰყვა შედეგად და საკრებულოს წევრის, ბატონი იმედა გოგავას დროული განცხადება _ ვიყოთ მეტი ლოიალურები, პატივი ვცეთ ერთმანეთის აზრებსო.

ბატონმა იმედა გოგავამ ყურადღება მე-3 საჯარო სკოლის წინ ამ დღეებში მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევასთან დაკავშირებითაც გაამახვილა და იქ მოძრაობის შემზღუდავი ბარიერის მოწყობის აუცილებლობას გაუსვა ხაზი.

გეთანხმებით, საკითხი უმოკლეს დროში მოგვარდება წესისამებრ, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მეტი სიფრთხილე მართებთ მძღოლებსაც და ქვეითად მოსიარულეებსაც... ასეთი იყო ბატონ ნუგზარ ჯამბურიას პასუხი ამ საკითხზე.

საკრებულოს 6 მარტის სხდომა ამით დასრულდა.

საკადრო ცვლილება სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებაში

ნინო ნანიტაშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ხათუნა გაგუას 7 მარტის ბრძანების საფუძველზე დირექტორის მოადგილედ სასწავლო მეთოდური აღმზრდელობის დარგში მარინა შენგელია დაინიშნა.

მარინა შენგელია წარმოშობით სამტრედიელია, დაამთავრა უკრაინაში, ქალაქ ხარკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი, ფილოლოგის სპეციალობით. მუშაობდა ქალაქის მე-3 საბავშვო ბაღში აღმზრდელ-მასწავლებლად. შემდგომში რკინიგზის მე-13 საშუალო სკოლაში რუსული ენისა და ლიტერატურის პედაგოგად. ბოლო პერიოდში მოღვაწეობდა ქალაქ ხარკოვის აეროკოსმოსურ უნივერსიტეტში ეკონომიკური ფაკულტეტის ლექტორად.

2017 წლის 7 მარტიდან მარინა შენგელია სამტრედიის მუნიციპალიტეტის ააიპ “სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებაში” დირექტორის მოადგილის მოვალეობის შესრულებას შეუდგა.

“მივიღე შეთავაზება და სიამოვნებითაც დავთანხმდი. მართალია, საკმაოდ სოლიდურ პოზიციას ვიკავებდი წლების განმავლობაში ხარკოვის უნივერსიტეტში, თუმცა მუდმივად მქონდა ნოსტალგია ჩემი ქვეყნის და მშობლიური ქალაქის. როგორც კი მომეცა საშუალება, დავბრუნდი ჩემს სამტრედიაში, სადაც იმ საქმიანობით დავკავდი, რომელსაც წლების წინ ვასრულებდი, ანუ მქონდა უშუალო შეხება დარგთან _ მე-3 საბავშვო ბაღში მომავალი თაობის აღზრდის საქმეს ვემსახურებოდი. ჩემთვის ახლობელია სკოლამდელი დაწესებულების აღსაზრდელების სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი, რასაც 2017 წლის 7 მარტიდან ჩავუდექი სათავეში. თუ საინტერესოდ მოგეჩვენებათ, უახლოეს მომავალში დაცული მექნება სამეცნიერო საკანდიდატო ხარისხი, გავხდები ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი და მივიღებ პროფესორის ხარიხს”. ცნობისთვის, მარინა შენგელიას სამტრედიის კულტურულ ცხოვრებაში თავისი სიტყვა აქვს ნათქვამი. 1978-1986 წლებში აქტიურად იყო ჩართული მხატვრულ თვითშემოქმედებაში.

მღეროდა ანსამბლ “ცისარტყელაში”, მსახიობობდა სახალხო თეატრში, ცეკვავდა კულტურის სახლთან არსებულ ქორეოგრაფიულ ანსამბლში. მარინა შენგელიას ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

აზიური ფარასანა – ამაზე დიდი მცენარე ვინ შემოვა საქართველოში

ნინო ნანიტაშვილი

ამ დღეებში საქართველოს პარლამენტში დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ მავნებელ-აზიურ ფაროსანას შესახებ იმსჯელეს. აგრარულ საკითხთა კომიტეტის სამუშაო სხდომაზე თავისი პრინციპული შეფასებით გამოირჩეოდა სამტრედიის მაჟორიტარი დეპუტატი. გრიგოლ მიქელაძის გაცხარება გამოიწვია იმან, რომ კვლევებში დაზარალებულ რაიონთა შორის სამტრედიის მუნიციპალიტეტი არ იყო მოხსენიებული.

დაავადების ირგვლივ იმ დღეს მოხსენება-პრეზენტაცია გააკეთა სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსმა, ზურაბ ჩეკურაშვილმა. მან მოწვევისთვის მადლობა გადაუხადა აგრარული კომიტეტის თავმჯდომარეს, სოფლის მეურნეობის ყოფილ მინისტრს, ოთარ დანელიას. ზურაბ ჩეკურაშვილმა იქვე დასძინა, ეროვნული სააგენტოსთვის მისასალმებელია ის, რომ აგრარულ კომიტეტს უხელმძღვანელებს პიროვნება, რომელიც კარგად იცნობს დარგს და იცის იქ არსებული პრობლემები, არის აგრარული სექტორის განვითარების გულშემატკივარი.

"ახლა გადავიდეთ უშუალოდ აზიურ ფაროსანაზე. არ მინდა, დაავადების მხარეები გავაზვიადოთ, მაგრამ არც ის მინდა, დაკნინდეს ეს პრობლემა. ჩვენ ყველაფერი უნდა ვიცოდეთ, გავითავისოთ და მივიღოთ შესაბამისი ზომები. აზიური ფაროსანა დაფიქსირებულია 2015 წელს, თუმცა დიდი მასშტაბით არ მავნებლობდა. 2016 წელს დიდი რაოდენობით დაგვიფიქსირდა. შესაბამისად, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ აიყვანა განსაკუთრებულ კონტროლზე, მიღებული იქნა გადაწყვეტილება, ამ მავნებლის წინააღმდეგ საჩქაროდ მომზადებულიყო საგანგებო ბრძოლის ღონისძიებები, სამოქმედო გეგმა და ა. შ.

პრობლემებს წავაწყდით _ სამწუხაროდ, ეს მავნებელი პირველად არის დაფიქსირებული საქართველოში და არანაირი მეცნიერული კვლევები არ მოიპოვება, არ გვყავს შესაბამისი სპეციალისტები. აქედან გამომდინარე, მივმართეთ საერთაშორისო დონეზე კოლეგებს, კერძოდ, აშშ-ის სასოფლო-სამეურნეო დეპარტამენტს. ვკითხავთ, რატომ ამერიკას? ყველაზე დიდი გამოცდილება მავნებელთან ბრძოლაში სწორედ ამერიკას აქვს.

2001 წელს პერსილვანიის შტატში დაფიქსირდა და დღესდღეობით ასეთი დიდი რესურსის მქონე სახელმწიფოში ეს მავნებელი 34 შტატისთვის წარმოადგენს საშიშროებას".

ზურაბ ჩეკურაშვილმა კომიტეტის სხდომაზე ვრცლად იმ ღონისძიებების შესახებ ისაუბრა, რაც ეროვნულმა სააგენტომ აშშ-დან მოწვეული სპეციალისტის რეკომენდაციით გაატარა. მის გამოსვლაში ითქვა, რომ აზიური ფაროსანა 300-მდე მცენარეულ კულტურას აზიანებს და როცა მომხსენებელი დასავლეთი რეგიონის დაზარალებული რაიონების ჩამოთვლას შეუდგა და მათ სიაში არ აღმოჩნდა სამტრედია, გრიგოლ მიქელაძემ საჭიროდ ჩათვალა, პარლამენტის ტრიბუნა გამოეყენებინა და აზიური ფაროსანას მავნებლობით დაზარალებული სამტრედიელი მოსახლეობის გულისტკივილი უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში გაეჟღერებინა.

"სამტრედიის მაცნეს" მკითხველს სრულად ვთავაზობთ აგრარული კომიტეტის სხდომაზე გრიგოლ მიქელაძის გამოსვლას. მას ზურაბ ჩეკურაშვილთან პრინციპული შენიშვნები ჰქონდა: "თქვენს მიერ დასახული ღონისძიებები, ვფიქრობ, დაგვიანებულია. ამ კუთხით კატასტროფული მდგომარეობაა შექმნილი დასავლეთ საქართველოში, მოვიარე გურია, სამეგრელო, აჭარა, იმერეთი. მწყინს, რომ ჩამონათვალში საუბარი არ არის სამტრედიაზე. ეს არის საგანგებო მდგომარეობა. ეს არის კატასტროფა. ჩვენ კი, სამწუხაროდ, მას ასე არ ვიხილავთ. თავის დროზე საქართველოში შემოვიდა გერმანული კომპანია "მარტინ ბაუერი", რომელსაც ჩაის კულტურა უნდა აეღორძინებინა და პირიქით _ მარტინ ბაუერის შემოსვლით ჩაი დასამარდა. ამის შემდეგ მოსახლეობამ ამოძირკვა ჩაი და გააშენა თხილის პლანტაციები. პირველ ეტაპზე გლეხობამ სული მოითქვა, წინ წასწია ეკონომიკა, გააძლიერა კერძო ბიზნესი. რა ხდება შემდეგ? ვლინდება მავნებელი, რომელიც უნადგურებს თხილს. მე ვთვლი, რომ ეს არის საქართველოში შემოტანილი დივერსია. საქართველოს ატომს ვერავინ ესვრის, დღევანდელ მთავრობას ისე მიჰყავს საკადრო პოლიტიკა, ომის საფრთხე არ არის, საფრთხეა ეკონომიკური დივერსიის. ჩვენ კი ამ უკანასკნელს ისე ვერ ვებრძვით, როგორც უნდა ვებრძოლოთ. დღევანდელ შეხვედრას თქვენთან ერთად, ბატონო ზურაბ, უნდა ესწრებოდნენ სოფლის მეურნეობის მინისტრი და მისი მოადგილეები. ეს საკითხი მთავრობის დონეზე უნდა იყოს აყვანილი. იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში რა გააჩნია მოსახლეობას იმის გარდა, თუ არა თხილი და ის დანარჩენი მცენარეული კულტურა, რასაც მავნებელი თავს ესხმის და ანადგურებს. საუბედუროდ, ვერ დავინახე ის ინტერესი, რაც აღნიშნული პრობლემის მოგვარებას სჭირდება. რატომ გამოგრჩათ სამტრედია ჩამონათვალში, მაშინ, როცა სამტრედიაშიც იგივე კატასტროფული მდგომარეობაა, რაც სამეგრელოსა და გურიაში. რატომ ხდება ასე, ეს არის თქვენი ნამუშევარი? ამბობთ, რომ შეწამვლის ღონისძიებები ჩაუტარეთ სახელმწიფო ფართობებს. 4 წელიწადი მოსახლეობას უხნავდნენ უფასოდ, მაგრამ ისინი არ თოხნიდნენ და თქვენ როგორ ფიქრობთ, ეს კატეგორია წამოვა და შეწამლავს თავის ფართობებს?

სახელმწიფომ პრევენციული ღონისძიებები უნდა გაატაროს და 12 მილიონი, რომელიც გამოყოფილია შეწამვლისთვის, ამ საქმეს არ ეყოფა. ამით ჩვენ წინასწარ ვეუბნებით მოსახლეობას, რომ მოსავლის 70%-ს ვერ მივიღებთ. ეს არ არის დივერსია?! ეს აწყობს იმ ძალას, რომელიც ძირგამომთხრელ პოლიტიკას ეწევა ქვეყნის წინაშე. კიდევ გეკითხებით, რატომ არ ესწრება დღეს კომიტეტის სხდომას მინისტრი. სამტრედიელებს მან თავი იმით დაგვამახსოვრა, კაბინეტში შესვლისთანავე სამტრედიის შპს "მექანიზატორის" ხელმძღვანელი მოხსნა, რომელმაც სასამართლოს ძალით თავი გაიმართლა და აღიდგინა. ჩვენ მინისტრები გვემალებიან. ჩემი პოზიციაა, უნდა ჩატარდეს კომიტეტის გასვლითი სხდომა, ჩამოვიდეს მთავრობა დასავლეთ საქართველოში. ხალხს ადგილზე უნდა ვუთხრათ, რას ვაკეთებთ. უნდა ჩავიდეთ თითოეულ სოფელში და შევხვდეთ მოსახლეობას. ამაზე უარესი მტერი ვინ შემოვა საქართველოში, ეს არის პრაქტიკულად ომი. ეს საკითხი უნდა შემოვიტანოთ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, მოვიწვიოთ დარგის მინისტრები. არა უშავს, შეწუხდნენ, მოვიდნენ და სახელმწიფო დონეზე ავიყვანოთ პრობლემა. ჩვენ ამ ეტაპზე ხალხს ვერ ვასაქმებთ. უდიდესი პრობლემაა ადამიანებისთვის სამუშაო ადგილების შექმნა. ხალხი, როცა თვითონ ჰქმნის პროდუქციას, თვითდასაქმებულია. ჩვენ რას ვაკეთებთ ამ დროს, კატეგორიულად მოვითხოვ, ყველა მაჟორიტარის მხარდაჭერას და ეს პრობლემა ერთიანი ძალით ავიყვანოთ მაღალ რანგში".

მწვანე სამოსი ქალაქს

ლევან გაბეჩავა

სათაური ჩვენეულია, თუმცა, ამას ამჯერად არა აქვს აბსოლუტური მნიშვნელობა.

არც ჟურნალისტები მოუხმიათ, ყოველგვარი აფიშირების გარეშე 1-ლ მარტს, გაზაფხულის პირველ დღეს პანთეონის, სასაფლაოების, გამწვანებისა და სანერგე მეურნეობის გაერთიანების მუშაკები ბარებითა და შესაბამისი ინვენტარით შეიარაღებულნი ქალაქს ალამაზებდნენ.

ეკრიჭებოდა დეკორატიული მცენარეების ხმელი ნაზამთრი ტოტები.

ამ დღეს ქალაქის სხვადასხვა კუთხეში ათობით დეკორატიული მცენარე დაირგო, რომლებიც, რაღა თქმა უნდა, გაალამაზებენ და გაამშვენიერებენ ჩვენს ქალაქს.

გაერთიანების თანამშრომელთა შორის ორგანიზაციის დირექტორი, ბატონი ელგუჯა კალაძეც შევნიშნეთ, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის წინ "ავავას" ნერგებს რომ რგავდნენ და კომენტარი ვთხოვეთ.

"გაზაფხულის შემობრძანებას გილოცავთ, ჩვენი სამსახური ყველაფერს გაკეთებს საიმისოდ, რომ ქალაქს უკეთესი ელფერი, მეტი პეწი და ლაზათი შევძინოთ, დღევანდელი დღეც ამისი ნათელი დასტურია, ანალოგიური სამუშაოები მომავალშიც გაგრძელდება და სასაუბროც მეტი გვექნებაო". _ ბატონმა ელგუჯამ.

მანამ კი, ვინც ქალაქში გაივლის და ახალ ნერგებს იხილავს, უთუოდ კმაყოფილი დარჩება.

თბილი, ლამაზი დღე იყო 1-ლი მარტი სამტრედიისათვის.

“ალარ ვართ მონა, არამედ აზნაურ”

ლევან გაბეჩავა

მსოფლიოში არსებულ 15 მართლმადიდებლურ ავტოკეფალურ ეკლესიას შორის საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესია ერთ-ერთი უძველესია.

...

1811 წელს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა გააუქმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II რუსეთს გაიწვია, საქართველოს ეკლესიას კი სათავეში რუსეთის სინოდის მიერ დანიშნული ეგზარქოსები ჩაუდგნენ. პირველი ეგზარქოსი მიტროპოლიტი ვარლამი იყო (ერისთავი).

1817-1917 წლებში საქართველოს ეკლესიას რუსი ეგზარქოსები მართავდნენ, რომლებიც, რა თქმა უნდა, რუსეთის პოლიტიკის გამტარებელები იყვნენ.

ისინი კრძალავდნენ ქართველ წმინდანთა ხსენებას, განიავდა საეკლესიო ქონება, ეკლესიები მრევლისგან თითქმის დაცარიელდა.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს მოწინავე ინტელიგენციამ, პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოებამ ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით დაიწყო უკომპრომისო ბრძოლა საქართველოს არა მარტო სახელმწიფოებრივი, არამედ ეკლესიური დამოუკიდებლობისათვის.

ამ ბრძოლაში განსაკუთრებით აქტიურობდნენ ეპისკოპოსები: ლეონიდე (ოქროპირიძე), კირიონი (საძაგლიშვილი), არქიმანდრიტი ამბროსი (ხელაია), დეკანოზები: კალისტრატე (ცინცაძე), ქრისტეფორე (ციცქიშვილი) და სხვები.

1917 წლის 12(25) მარტი.

მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარი.

მრავალრიცხოვანი საზოგადოება ჯერ სამშვიდობო პარაკლისს დაესწრო, ხოლო შემდეგ გურია-ოდიშის ეპისკოპოსმა ლეონიდემ წაიკითხა სპეციალურ ეტრატზე დაწერილი საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დოკუმენტი.

იმავე წლის სექტემბერში თბილისის სიონის საპატრიარქო ტაძარში გამართულმა საეკლესიო კრებამ დაამტკიცა საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობა, განისაზღვრა ეპარქიათა რაოდენობა, გამოარჩია საეპისკოპოსო კანდიდატები.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად არჩეულ იქნა ეპისკოპოსი კირიონი (საძაგლიშვილი), რომელსაც უწმინდესი და უნეტარესი კირიონ მეორე ეწოდა.

ახლად არჩეულმა პატრიარქმა თავისი გამოსვლა დაიწყო სიტყვებით:

“აღარ ვართ მონა, არამედ აზნაურ...”

პატრიარქმა საგანგებო ეპისტოლეთი მიმართა აღმოსავლეთის ქვეყნების მართლმადიდებლურ ეკლესიათა მეთაურებს იმ იმედით, რომ ისინი აღიარებდნენ საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიას (დამოუკიდებლობას).

მართალია 1917 წელს აღსდგა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალია, მაგრამ არც შემდეგი წლები იყო მშვიდი ეკლესიისა და სამღვდელოებისათვის. ამის ერთი მაგალითია თელავის მაზრის სოფელ ახალგავაზის მღვდლის **რაჟდენ თურქაძის** თხოვნის შემცველი წერილი ადგილობრივი ბოლშევიკური ორგანიზაციის მესვეურებისადმი, სადაც ვკითხულობთ:

“სოფელ ახალგავაზის ეკლესია, რომელშიც მე ვასრულებდი მღვდელმსახურებას, ადგილობრივმა პოლიციამ სამკითხველოდ გადააქცია და მე ამით სამლოცველო მომისპო. ამიტომაც უმორჩილესად ვთხოვ რევოლუციურ კომეტეტს, მომცეს ნება, სოფელ ახალგავაზში მსურველთათვის ავასრულო მღვდელმსახურება ეკლესიის გარეშე სასაფლაოზე, მიცვალებულთა დასასვენებელში”...

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის (დამოუკიდებლობის) აღდგენა უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო სრულიად საქართველოსთვის, რასაც ხარულით შეეგება ქართველი ერი.

1917 წლის 12 (25) მარტს საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები იყვნენ:

კირიონ მეორე (საძაგლიშვილი) 1917 წ.

ლეონიდე (ოქროპირიძე) 1919-1921 წ.წ.

ამბროსი (ხელაია) 1921-1927 წ.წ.

ქრისტეფორე III (ციცქიშვილი) 1927-1932 წ.წ.

კალისტრატე (ცინცაძე) 1932-1952 წ.წ.

მელქისედეკ III (ფხალაძე) 1952-1960 წ.წ.

ეფრემ მეორე (სიდამონიძე) 1960-1972 წ.წ.

დავით V (დევდარიანი) 1972-1977 წ.წ.

როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის მიწურულს 40 წელი ხდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია მეორის აღსაყდრებიდან.

განუზომელია როგორც ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ ქართული ეკლესიისა და მისი მწყემსმთავრის ავტორიტეტი, რასაც ვერავინ, ვერაფერი მიაყენებს ჩრდილს.

100 წელი სრულდება ამ დღეებში საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის (დამოუკიდებლობის) აღდგენიდან.

გილოცავთ!

დახვრეტილი თაობა

ლევან გაბეჩავა

“აღმოჩენილ იქნა ტროცკისტულ ჯაშუშურ-მავნებლური ტერორისტული ცენტრი, რომელშიც შედიოდნენ: ბ. მდივანი, მ. ოკუჯავა, ს. ქავთარაძე, მ. ტოროშელიძე, ს. ჩიხლაძე, ნ. კვნაძე და სხვები.

_ ჩვენმა პარტიამ ძლიერი სტალინური ხელით გაანადგურა ფაშიზმის ეს დაქირავებული აგენტები, ტროცკის დამქაშები.”

ამ სიტყვებით დაასრულა თავისი გამოსვლა საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის X ყრილობაზე ლავრენტი ბერიამ 1937 წელს.

მამა წაიყვანეს...

გადაასახლეს...

შიში, ძრწოლა, გაუცხოებული ახლობლები, ნათესავები, ყველა საკუთარ თავს უფრთხილდება.

უზარმაზარ საბჭოეთში პიკს აღწევს რეპრესიები.

ერთ-ერთი ცნობით, მოკავშირე რესპუბლიკებს დასაჭერ-დასახვრეტთა გეგმებიც კი მიეწოდებოდათ?!

მოსმენები...

დასმენები...

საგანგებო “ტროიკები”.

უდანაშაულო დამნაშავენი...

სიკვდილის შემდეგ რეაბილიტირებულნი?!

და მაინც, დახვრეტილი თაობა!

ეპოქა, რეჟიმი, რომელმაც სასიკვდილოდ გაიმეტა:

სანდრო ახმეტელი, ევგენი მიქელაძე, მიხეილ ჯავახიშვილი, მარიამ, მამია ორახელაშვილები, ოლია ოკუჯავა...

ვრცელია მათი სია.

ბევრს საუბრობენ დღეს სტალინსა და სტალინის ფენომენზე. იყო ამ მმართველის მოღვაწეობაში არნახული მიღწევების, აღმშენებლობის პერიოდები და იყო მიუტევებელი დანაშაულებიც, მის სახელს, მისი მმართველობის ხანას რომ უკავშირდება.

80 წელი (1937-2017 წ.წ.) შესრულდა სტალინური რეპრესიების დაწყებიდან, რომელმაც მუსრი გაავლო მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების, მუშათა კლასის, გლეხობის ასობით წარმომადგენელს.

მსგავსი რამ არასოდეს უნდა გამეორდეს!

უდანაშაულოდ რეპრესირებულთა შთამომავლებს კი დღესაც მწარედ ახსოვთ მათი ოჯახების ტრაგედია.

გამოსაყენების ცხოვრებისა ცხელბილობისთვის მოდმივი მზრუნველობა

ყოველი წარმატება, საპატიო სახელის მოპოვება, ცხოვრების რომელ უბანს ან რომელ პროფესიას არ უნდა ეხებოდეს იგი, დამოკიდებულია საქმის ცოდნაზე არჩეული სპეციალობისადმი სიყვარულზე, აგრეთვე იმაზე, თუ როგორ იყენებდნენ მოწინავე ადამიანთა გამოცდილებას, ცოდნას და იმ პრაქტიკას, რაც ცხოვრებას დაუდასტურებია. ყოველივე ეს კარგად აქვს შეგნებული რკინიგზის დასავლეთის რეგიონის საგანგებო სიტუაციის ცენტრის უფროსს ბატონ ვალერი გრიგოლავას, რომელიც უნარიანად უძღვება მეტად საპასუხისმგებლო საქმეს.

40 წლის წინ (1977 წელი) იგი ჯერ კიდევ პირტიტველა ახალგაზრდა მოვიდა საწარმოში ჯერ მექანიკოსად, ხოლო შემდგომ უფროსად. ნებისმიერ დროსა და ვითარებაში თავდადებული ენთუზიაზმით და მონდომებით ემსახურება დაკისრებულ საქმეს და ეს განსაზღვრავს წარმატებებს. პატარა კოლექტივის ძირითადი საქმიანობაა აღდგენითი სამუშაოების ჩატარება. ნორმირებული საათები არ არსებობს მათთვის, განსაზღვრული დრო არ აქვთ სამუშაოზე, გამოძახებისთანავე ყველა საჭირო იარაღითა და ტექნიკით აღჭურვილი მიდის საქმეზე _ 80 ტონიანი ამწეთი.

რკინიგზაზე მუშაობას მეტად რთული, მაგრამ თავისებური ხიბლი და მიმზიდველობა აქვს. ბატონი ვალერი ათეული წლობით აქ არის უკვე და სხვაგვარად არ ძალუძს. იგი ყოველდღიურად ზრუნავს აქ დასაქმებულთა უსაფრთხოების მუდმივი სრულყოფისათვის, შრომის დაცვისა და შრომის პირობების გასაუმჯობესებლად. მუშაობის პროცესში საწარმოო ტრავმების თავიდან ასაცილებლად.

საპატიო რკინიგზელი _ ბატონი ვალერი იხსენებს ხევისწყალზე რკინიგზის ხიდის აფეთქების დროს, სადაც ნავთობით დატვირთული 7 ვაგონი გადავარდა მდინარეში და დანგრეული იქნა რკინიგზის ლიანდაგი. დღედაღამ ვმუშაობდით და ჩვენმა ბიჭებმა შეუძლებელი შეძლეს, 24 საათში მატარებლის მოძრაობა აღდგენილი იქნა, ანალოგიური მდგომარეობა იყო იანეთში გუბისწყალზე ხიდის აფეთქებისას, დღედაღამე მობილიზებული ვართ. ჩვენი მოვალეობაა ნებისმიერი სახის დაზიანების სწრაფი აღდგენა. ბევრი თავგამოდებული მუშაკი გვყავს, მათ შორის აღსანიშნავია ამწის მემანქანე ბატონი ზურაბ ჩიტია, რომელიც 37 წლია მუშაობს. ის ტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მოვიდა სამუშაოდ რკინიგზაზე _ დედ-მამა რკინიგზელები იყვნენ, საწარმოს მიღწევებში თავიანთი წვლილი შეაქვთ თამაზ ჯულაყიძეს, დავით შენგელიას, დიტო კობესოვს, მერაბ ლეჟავას, გიგა გაბეჩავას, დავით გოჩოლეიშვილსა და სხვებს.

რევაზ ბაგათია

საკუთარი ნეკნი გაიმეტა ცხოვრების ხერხემლად რომ გაეხადა

ბოლო აბზაცი გამოტოვეთ

თეა ბაბუნაშვილი

... და ბოლოს, მარტმა მზეს მიაწვდინა ტყემლის და ატმის ნაზი ფურცლით აალებული გაზაფხული. თავად გაზაფხულს, ათასი ფუნჯით, ათასი ფერით მოხატულს, გაზაფხულად დაებედა ამოუცნობი ეშხით სულშთაბერილი ქალის სურნელი.

საკუთარი ნეკნი გაიმეტა ცხოვრების ხერხემლად რომ გაეხადა. მას მერე, ადამის დარად, ცდუნებად, შთაგონებად, იდუმალებად ექცა. ფურისულებად, ყოჩივარდებად, ია-ენძელად მიმოაბნია წვიმად აცრემლებული მარტის გუნებას მიმსგავსებული და სული უძღვნა. თავად უკარნახა ღმერთს შეექმნა იგი. მას მერე ერთ სისხლ და ერთ ხორც სიარული არ მთავრდება ცხოვრების ბილიკებზე. მუდამ გვერდით ჰყავს შრომად, ბრძოლად, დედად, შვილად და სიყვარულად იგი _ ერთადერთი, იგი _ ქალი!

სარვამარტო ღონისძიება განსხვავებული გამოვიდა. სხვაგან სად, თუ არა სამხატვრო გალერეად ქცეულ სახელოვნებო დარბაზი გაზაფხულით აავსეს. მოხატეს, მოქარგეს, მოაჩუქურთმეს თავიანთი ხელნაკეთებით, ტილოებით ქალბატონებმა, რომელთაც სამტრედიელები კარგად იცნობენ, თუმცა ისინი საზოგადოებრივ აქტიურობაში სულ სხვა რაკურსით არიან ჩართულები. ამჯერად კი მათი ნიჭიერებით შეფუთული შემოქმედება სამზეოზე გამოიტანეს. ამან განაპირობა ის, რომ იმდღევანდელ ღონისძიებას სხვა ხიბლი ჰქონდა, სხვა ელფერი დაჰკრავდა. მსუბუქი მუსიკა უხდებოდა დარბაზის განწყობას. გარეთ მარტი მარტობდა, ოღონდ ადრიანი გაზაფხულის მზით გამთბარი და დარბაზშიც ყინულის სინამდვილეს გამოპარული ღიმილი იდგა.

ფუნჯის თამამი მოსმა, ზეთის საღებავების შეუდარებელი ფერთა გამა, ნაქარგი ორნამენტის სინატიფე, ერთი შეხედვით უსარგებლო, ან უბრალოდ, საყოფაცხოვრებო ნივთების ხელოვნებად ქცევის ნიჭიერება ერთმანეთში შერწყმულიყო და მთელი გამოფენა გაზაფხულის კომპოზიციად ექცია, რომლის გულის ფეთქვაც ქალი იყო, დედა და სატრფო.

''მხატვრობა და ზოგადად ხელოვნება, ერთადერთია, რომელიც ადამიანს გადაარჩენს ამ შავ-თეთრ და უხეშ სამყაროში.'' _ ასე დაიწყო საუბარი და საკუთარი ნამოწაფარი გაგვაცნო ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა მაია ლორიამ. ნინო ხმალაძე მაშინდელ 24-ე საშუალო სკოლაში სწავლობდა. მერე სკოლა-ლიცეუმ ''21-ე საუკუნეში'' განაგრძო სწავლა. სამტრედიაში რამდენიმე წელი ცხოვრობდა, რადგან მამამისი გიორგი ხმალაძე ხის დამმუშავებელ კომბინატში ინჟინრად მუშაობდა. თვითნასწავლი მხატვრის, ნინო ხმალაძის ნამუშევრები განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებდა იქ მყოფი პროფესიონალი მხატვრების შეფასებით. თავად ნინოს კი არაერთი გამოფენა დედაქალაქშიც ჰქონია, სადაც გაცილებით დიდი პუბლიკის აპლოდისმენტები დაუმსახურებია. მაია ლორია განაგრძობდა: ''ვისურვებდი, ისე გაგვფერადებოდეს ეს უსულგულო და ტექნოკრატიული სამყარო, როგორც ნინომ გვაჩვენა. ეს არის ქალური პროტესტი გულგრილობის მიმართ. ეს შინაგანი ფერია ახალის შესაქმნელად, რადგან ღმერთისგან ნაბოძები სამყარო ჩვენი უხეში ჩარევით ისეთი ფერადი აღარ არის. ვისურვებდი, მის ნახატებში სულის პულსაცია გვეგრძნო.''

''თავისით მოვიდა და... უბრალოდ დავიწყე რაღაც კომპოზიციების კეთება. მერე ფერი ფერს შეერწყა. ორი-სამი წელია, ამგვარი აპლიკაციების კეთება ჩემი ჰობი გახდა. მამშვიდებს ასე მუშაობა. ნატო მანჯგალაძემ მომანდომებია, თორემ აქამდე ამაზე ხმამაღლა არ ვსაუბრობდი. დღეს კი წინასარვამარტოდ ჩემი ნამუშევრები უკვე გამოფენაზეა. მიხარია თუ მოსწონთ. მადლობა ნატოს ამისთვის. თქვენ კი საუკეთესო სურვილებით გილოცავთ ქალბატონებო!'' _ ამბობდა მანანა ლორთქიფანიძე, რომელიც პროფესიით საქმის მწარმოებელია.

დანარჩენ მონაწილეებს, მანანა ლორთქიფანიძეს, თეონა გეგუჩაძეს, ნანა რუხაძეს, შორენა გვტერიშვილს, თეა კარტოზიას, დალი ხუჭუას, ნინო ნიკოლეიშვილს, თინიკო მგელაძეს, ხათუნა ვაშაკიძეს, ნათია კაცაძეს, ნინო კვინიკაძეს, როგორც უკვე კარგად ნაცნობებს ამ სფეროში, ან ამჯერად აღმოჩენილებს წარმატებული დებიუტით, სამტრედიელი დამთვალიერებელი თბილად ხვდებოდა. მაია ბირკაძე კი გამოფენის თბილისელი სტუმარი გახლდათ.

მეორე დილა უკვე სარვამარტო იყო. ამიტომ მილოცვებს უკვე იღებდნენ ქალბატონები. ულოცავდნენ ერთმანეთს და ულოცავდნენ მამაკაცები. ამ გამოფენამ კი ყველას მისცა სიტყვების გალამაზების საშუალება. ''აღფრთოვანებული ვარ. დიდი მადლობა ორგანიზატორებს ასეთი სანახაობის მოწყობისთვის. კიდევ ერთხელ დავანახეთ მამაკაცებს ქალური სულის მშვენიერება. ვულოცავ ყველა ქალს.'' _ ამბობდა ქალბატონი ნათელა გელეიშვილი.

სხვანაირად როგორ იქნებოდა, და მილოცვებს არ იშურებდნენ მამაკაცები. თვითნასწავლი მხატვარი და შეყვარებული მეუღლე გია შუბლაძე აღფრთოვანებას არ ფარავდა თვით გამოფენით: ''დიახ, ღამეებს რომ გვათეთეებდით თქვენ ის გოგოები ხართ. ყველა ქალი ბედნიერებას იმსახურებს და გვინდა თუ არა, ამის უპირველესი წყარო მამაკაცები ვართ. შეგვძლებოდეს ჩვენს გვერდით მუდამ ღიმილიანი დედები, მეუღლეები იდგნენ, რათა ყოველდღიურობა უფრო მსუბუქი და ფერადი გახდეს. ამ გამოფენაზე ბევრი რამ მომეწონა, მაგრამ გამოვყოფ მაია ბირკაძის ზეთით შესრულებულ ტილოებს. ფუნჯის თამამი მოსმით ის პროფესიონალურად ამბობს სათქმელს.''

მხატვარი იაკობ ჩხიკვაძე აღფრთოვანებას არ მალავდა: ''საოცარია ეს ფერადი სამყარო. არ შეიძლება, უბრალო სიტყვებით ისაუბრო, მით უმეტეს, რომ ამ სილამაზის შემოქმედი დამწყები მხატვრები არიან. წარმატებები მათ. გაზაფხულივით ლამაზები დარჩენილიყავით ქალბატონებო, სარვამარტო მოლოცვად ჩემგან პატივისცემა და სიყვარული მიიღეთ.''

ღონისძიება გამგეობის კულტურის სამსახურის და სამხატვრო სკოლა გალერეის ორგანიზებით მოეწყო. კულტურის სამსახურის უფროსი ნატო მანჯგალაძე აღნიშნავდა, რომ ''გვინდოდა განსხვავებული, სხვა დროს უთქმელი გვეთქვა. მგონი გამოგვივიდა, ავცდით შაბლონს. გილოცავთ ქალბატონებო ასე ლამაზად, ასე ფერადად.'' გამოფენის პარალელურად გამართული კონცერტი ბექა თევზაძეს მიჰყავდა. სიტყვა სამხატვრო სკოლა-გალერეის დირექტორს და ამ ლამაზი სანახაობის ერთ-ერთ შემოქმედს, ნინო ნინუას მისცეს. მისმა გამოსვლამ განსაკუთრებით ინტელექტუალური ელფერი შესძინა იმ დღეს. ''აქ წარმოდგენილი ნიმუშების ავტორები თვითნასწავლები არიან. და უნდა ვთქვა, მათ დაიწყეს ისე, როგორც ზოგიერთი ცნობილი მხატვარი ვერ ამთავრებს. ეს გამოფენა დიდ საგამოფენო დარბაზს დაამშვენებდა. ამ გამოფენით კიდევ ერთხელ შევახსენეთ მამაკაცებს, რომ ქალს შეუძლია იყოს მუდამ მშვენიერი და იგი არის სამყაროს წრებრუნვა.!''

''განსაკუთრებულად მოლოცვის რა მოგახსენოთ, მაგრამ განსაკუთრებული გულწრფელობით ნამდვილად მივულოცავ ქალბატონებს ქალთა დღესასწაულებს. სამი მარტი დედის დღეა საქართველოში. აქედან დავიწყებ და ვისურვებ აცრემლებული დედა არ გვენახოს, უფრო სწორად, დედის თვალებს მხოლოდ შვილით სიამაყის დროს მოსდგომოდეს ცრემლი. ყველა ქალბატონს ვულოცავ რვა მარტს. შემთხვევითი არ არის, რომ ქალთა დღე გაზაფხულს ემთხვევა, ქალი და გაზაფხული ხომ ერთი მთლიანობაა.'' _ მუნიციპალიტეტის გამგებელის ვალერი ფოცხვერიას მილოცვა გამოფენის მსვლელობისას მივიღეთ. საუკეთესო სურვილები ქალბატონებისთვის არც საკრებულოს თავმჯდომარეს, ნუგზარ ჯამბურიას ელეოდა: ''გილოცავთ გულწრფელი სიყვარულით და მოწიწებით. ბედნიერების ღიმილი ყველაზე უფრო ამშვენებს ქალს და არ მოგშლოდეთ იგი დედებს, მეუღლეებს. განა მარტო ამ დღეს, მუდამ ბედნიერები ყოფილიყავით.''

წინამორბედების მსგავსად სიტყვამზიანობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კობა ძიძიგური: ''ჯანმრთელობა და სიხარული მოეტანოს თქვენთვის ნებისმიერ დღეს. შეგვძლებოდეს მამაკაცებს მუდამ გაგაბედნიეროთ. გილოცავთ ქალთა დღესასწაულებს, ყველა დღის განსაკუთრებული ფერადოვნებით გათენება-დაღამებას გისურვებთ.'' საკრებულოს წევრ ქალბატონებს და არა მხოლოდ მათ ლექსით მოეფერა საკრებულოს წევრი, ფრაქცია ''ქართული ოცნების'' თავმჯდომარე ტარიელ დვალიშვილი. მას ტოლი არც მუნიციპალიტეტის გამგებელმა დაუდო, ასე რომ, საკონცერტო სანახაობას სცენაზე არც შთაგონებით წაკითხული ლექსი აკლდა.

რამდენიმე ქალბატონი რაიონის სინამდვილიდან მათი განსაკუთრებული დამსახურების გამო სიმბოლური საჩუქრით დააჯილდოვეს. ყვავილები კეთილ სურვილებთან ერთად უხვად ამშვენებდა ღონისძიებას.

ამბობენ, ჟურნალისტს სქესი არ აქვსო, ალბათ, ამიტომაც ჟურნალისტი ქალბატონები, როგორც ხშირად ხდება სამტრედიის სინამდვილეში, ამჯერადაც ყურადღების მიღმა დარჩნენ. ეს აბზაცი, ალბათ, რა მოსატანი იყო, ამიტომ გამოტოვეთ!

საუბრები საზოგადოებრივ პროკურატურაზე

მაჯახოვი ცივია სანამ გაისვრის

თეა ბაბუნაშვილი

პროკურატურის კარჩაკეტილობის და საშიში ორგანიზაციის სტერეოტიპის დასანგრევად, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ პროექტის განხორციელება დაიწყო. მიზანი დასახელებაშივე გასაგები რომ ყოფილიყო, პირდაპირ ასე დაარქვეს _ "საზოგადოებრივი პროკურატურა". იგი პრობაციონერებთან, სკოლებში, სხვადასხვა დაწესებულებებში ზოგადად, სამართალდამცავი ორგანოების და განსაკუთრებით პროკურატურის სისტემის როლისა და დანიშნულებაზე საუბრით შემოიფარგლება. მისი მონაწილე საზოგადოების ნებისმიერ წევრს შეუძლია გახდეს.

არასრულწლოვნებთან შეხვედრა ამ პროექტის უპირველესი მიზანია. თითქმის ყველა რაიონსა და რეგიონში საქართველოს მასშტაბით, კვალიფიციური პროკურორები საუბრებს მართავენ მოსწავლეებთან, რადგან სკოლა ის ადგილია, სადაც ყველაზე უკეთ იკვეთება მათი მისწრაფებები და შეხედულებები. "ამ ახალგაზრდებს ყოველდღიურობის სწორად მართვის საშუალებას და შესაძლებლობას თუ მივცემთ, ვფიქრობ, ამ პროექტის მიზანი შესრულებული იქნება. არის არაერთი შემთხვევა, როცა მოზარდს მიაჩნია, რომ არ არღვევს კანონს, სინამდვილეში კი კანონი არ ცნობს მისი ქმედების კანონიერებას." _ ასე დაიწყო საუბარი სამტრედიის რაიონულმა პროკურორმა მალხაზ გეწაძემ, რომელიც მოზარდებთან შეხვედრას ამჯერად სამტრედიის მე-11 საჯარო სკოლაში მართავდა. პროექტი უკვე რამდენიმე წელია მიმდინარეობს. მალხაზ გეწაძე 2016 წლის თებერვლიდან ხვდება სასაუბროდ მოსწავლეებს სამტრედიაში, რადგან იგი ამ დროიდანაა სამტრედიის რაიონული პროკურორი. თვლის, რომ "საუბრები უნდა მოარგო ახალგაზრდების ინტერესებს" და შეხვედრის დაწყებისთანავე განუცხადა მოსწავლეებს, ვისაც არ აინტერესებდა, შეეძლო დარბაზი დაეტოვებნა. "მე არ გიტარებთ გაკვეთილს, არ გაძალებთ მომისმინოთ, უბრალოდ სამართალდამცავებს მიგვაჩნია, რომ ეს თქვენთვის საინტერესო უნდა იყოს". _ ამ სიტყვებით დაიწყო შეხვედრა მე-11 საჯარო სკოლაში. პროკურორის მოსმენის სურვილი ბევრს აღმოაჩნდა, მეტიც, არაერთ მოსწავლეს კითხვაც გაუჩნდა და საქმე პოლემიკამდეც მივიდა. შეიძლება ითქვას, მალხაზ გეწაძეს საინტერესო "გაკვეთილი" გამოუვიდა. ძირითადად უფროსკლასელები აქტიურობდნენ, თუმცა, დარბაზში მსხდომთაგან პასიური არავინ ყოფილა. მათთვის განსაკუთრებით საინტერესო კანონის ცივ იარაღთან დამოკიდებულების საკითხი აღმოჩნდა. კითხვაზე, რომელი ითვლება ცივ იარაღად, პასუხმა არ დააყოვნა _ მაკაროვი. დარბაზი ერთხმად გააცინა პროკურორის ხუმრობამ: "მაკაროვი ცივია სანამ გაისვრის, მერე ისიც ცხელი ხდება." "რატომ უნდა დამიჭიროთ, მე პატიოსანი კაცი ვარ!" _ ამ რეპლიკის ავტორიც სწორედ ის გახლდათ, და საერთოდ, როგორც პროკურორმა აღნიშნა, ეს "პატიოსანი კაცი" ბევრი ისეთი საკითხით დაინტერესებული აღმოჩნდა, ახალგაზრდებში ყველაზე გავრცელებულ სამართალდარღვევად რომ მიიჩნევა. არაერთი კითხვა დაისვა სიგარეტით ვაჭრობაზე არასრულწლოვანებთან მიმართებაში, აგრეთვე, ნარკოტიკების ლეგალიზაციასა, კაზინოებსა თუ სხვა სათამაშო დაწესებულებებთან მიმართებაში ასაკობრივ შეზღუდვებზე. "საუბარი ახალგაზრდების ინტერესებს მოერგო და საინტერესო გახდა მათთვის. მსგავსი შეხვედრების დროს, მქონია შემთხვევა, დარბაზს მიღმა გაგრძელებულა საუბარი და იმაზე დიდხანსაც, ვიდრე დარბაზში. გარდატეხის ასაკის სპეციფიკაც გასათვალისწინებელია, ბევრს იქ მოერიდა მისთვის საინტერესო საკითხზე საუბარი, პირისპირ კი უფრო გახსნილად ვისაუბრეთ." და რაც ყველაზე აქტუალურია, სამტრედიაში ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, საუბარი არასრულწლოვნების დაქორწინების ფაქტებს დეტალურად შეეხო. მოსწავლეები დარწმუნდნენ იმაში, რომ რაც მათი შეხედულებით კანონიერია, იქნებ, უხეში სამართალდარღვევა აღმოჩნდეს. "ყველა მათგანს პროკურორად ან სამართალდამცავად ვერ აღვზრდით, მაგრამ გაუცხოების გარკვეულ ბარიერს კი გადავლახავთ. მთავარია, ურთიერთობები სწორად წარვმართოთ". _ აღნიშნა მალხაზ გეწაძემ შეხვედრის შემდეგ.

შეიძლება ითქვას, რომ პროკურატურასა და საზოგადოებას შორის გაუცხოების ბარიერის მოსახსნელად მსგავსი საუბრები საჭიროცაა. შეხვედრის დასაწყისში დაძაბული ფონი, მისი მსვლელობისას მალევე მოიხსნა და ახალგაზრდებიც უფრო კონტაქტურები გახდნენ. იყო კამათიც და მათდა გასაკვირად აღმოაჩინეს, რომ პროკურორისთვის ახალგაზრდების ზოგიერთი შეხედულება მისაღებიც კი იყო. "ზოგადად, საზოგადოების ნეგატიური დამოკიდებულება სამართალდამცავი ორგანოებისადმი, ძირითადად, განპირობებულია იმით, რომ თითქმის ყველა მოქალაქე ყოველდღიურობაში გარკვეულ სამართალდარღვევას, ხახს ვუსვამ, მინიმუმ, სამართალდარღვევას მაინც სჩადის. კანონის ფარგლებში მათი შეზღუდვა სამართალდამცავების მხრიდან, ვთქვათ, საპატრულო პოლიციის მიერ დაწერილი ჯარიმა, პროტესტს იწვევს. ნაკლებად ფიქრობს საზოგადოება, რამდენად კანონიერია მათი ქმედება.

თუ ნეგატიურ არა, არასასიამოვნო ადამიანებს ხედავენ სამართალდამცავებში იმიტომ, რომ თუნდაც კანონის ფარგლებში, მაგრამ მაინც რამდენადმე შეიზღუდა მათი თავისუფლება. არადა, სამართალდამცავები აკეთებენ თავის საქმეს. თავად სამართალდამცავის მხრიდან გარკვეული გადაცდომა თუ თანამდებობრივი უფლების გადამეტება რეაგირების გარეშე არასდროს რჩება. შემიძლია დავარწმუნოთ, რომ მათი კანონთან შეუსაბამო ქმედება 100%-დან შეიძლება 5, მაქსიმუმ, 10% იყოს."

მე-11 საჯარო სკოლაში შეხვედრა დიდხანს გაგრძელდა. ახალგაზრდებმა მათთვის საინტერესო ყველა კითხვაზე მიიღეს პასუხი.

პროკურორ მალხაზ გეწაძეს, როგორც ჩვენი გაზეთის ერთგული მკითხველებიდან ერთ-ერთს და ფრიად საპატივცემულოს, ცხადია, მასთან დამოკიდებულებაზეც ვკითხეთ. მიზეზი საინტერესო აღმოჩნდა. როგორც გაირკვა, თავდაპირველად "სამტრედიის მაცნეთი" იგი პროფესიული თვალსაზრისით დაინტერესდა. ხუმრობა იქეთ იყოს, და თურმე პროკურატურაში სიტყვა-სიტყვით გვკითხულობენ! ინფორმაცია დანაშაულის შესახებ შეიძლება მოვიდეს უამრავი გზით. დიახ, მედიის საშუალებითაც. შესაძლებელია, ჟურნალისტმა გაუაზრებლად, უფრო სწორად, ჟურნალისტური პრინციპების დაცვის გამო ისეთი რამ დაწეროს, დანაშაულს რომ ამხელს. თქვენთან არაფერი მინახავს ისეთი, კანონდარღვევის საფუძველი რომ გახდეს, მაგრამ ყოფილა შემთხვევები, ესა თუ ის წერილი თუ სიუჟეტი გამოძიების საბაბი რომ გამხდარა. თუმცა, როგორც თავად აღნიშნა, "სამტრედიის მაცნეს" მკითხველი რაიონის მთავარი პროკურორი ამ პროფესიული უნარ-ჩვევიდან გამომდინარე იმანაც გახადა, რომ "ბევრი კარგი რუბრიკა გაქვთ, საინტერესოდ წერთ. კვირიდან კვირამდე რაც ხდება სამტრედიაში, ამომწურავად და საინტერესოდ აშუქებთ. ვთვლი, რომ თქვენთან პროფესიონალები მუშაობენ."

პროექტი "საზოგადოებრივი პროკურატურა" გრძელდება. იგი არა მხოლოდ მსგავს შეხვედრებს, პრობაციონერებთან ერთობლივ აქციებსაც გულისხმობს. მალე გამგებლის წარმომადგენლების დახმარებით, შეხვედრები სოფლების მოსახლეობასთანაც დაიწყება.

აღჩეული ქორწინება, ანუ ბავშვობას ვეჩასოდეს დავიბრუნებთ!

"_ ახალი ამბავი გაიგე? გუშინ გაპარულან! ნეტავ, იმ გოგოს თავში რა უტრიალებდა, რაზე ფიქრობდა. საკუთარი ცხოვრება თვითონვე დაინგრია. საწყალი მშობლები რა დღეში იქნებიან".

ცნობილი ხდება, რომ თითქმის ყოველ კვირაში არასრულწლოვან ბიჭს მოჰყავს ცოლი, არასრულწლოვანი გოგონა კი თხოვდება. ეს ყველაფერი, სამწუხაროდ, იმდენად ხშირად მეორდება, რომ ყოველდღიურობის ერთგვარი ნაწილი ხდება. საინტერესოა, რამ უნდა აიძულოს, თუნდაც მე-10 კლასელი გოგონა, რომ გათხოვდეს, რომელსაც ყველაფერი წინ აქვს. გამაღიზიანებელია ზოგჯერ ის ფაქტიც, რომ ამ ყველაფერში მხოლოდ ბავშვებს სდებენ ბრალს. დაფიქრებულხართ, გოგონების ამ ნაწილს როგორი ოჯახი აქვს? იქნებ, ხშირია მათ ოჯახში გულგრილობა, ჩხუბი, ისტერიკა და სხვა ყველაფერი უარყოფითი იმისათვის, რომ ამ გარემოებამ გოგონა აიძულოს, გაეცალოს ამ ყველაფერს და გათხოვებაში ეძიოს შველა. ამ შემთხვევაში სწორედ ოჯახის გამო ხდებიან გოგონები იძულებითი ქორწინების მსხვერპლნი. ეს ცნება არ მოიცავს მხოლოდ მოტაცებას, რომელიც შენი თანხმობის გარეშე ძალდატანებით ხდება. ეს იგივეა, შენი სურვილის წინააღმდეგ, თუნდაც, საკუთარი თავით მოქმედება. ბავშვს როგორ გარემოსაც შეუქმნი ოჯახში, მისი საქციელიც შესაბამისი იქნება.

რა თქმა უნდა, არსებობს გოგონათა რიცხვი, რომლებსაც უბრალოდ გათხოვება სურთ და ეს არის მათი ერთგვარი აკვიატება. ამ შემთხვევაში ჰგონიათ, რომ მათი ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვლება და ექნებათ ბედნიერი ოჯახები. ვუშვებ იმის ალბათობას, რომ ეს ყველაფერი შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ ეს მხოლოდ გამართლებაზეა დამოკიდებული, რადგან ჩვენ არასრულწლოვნობის ასაკში ჩამოუყალიბებელი პიროვნებები ვართ. არც კი ვიცით, ბოლომდე რა გვსურს. ჩვენში არის ხასიათის ხშირი ცვალებადობა. საერთოდ, როდესაც ახალ ნაბიჯს ვდგამთ, ხშირ შემთხვევაში მის დადებით მხარეზე ვფიქრობთ, არ ვუკვირდებით მის უარყოფით მხარეს. ან საერთოდ, რა მოჰყვება მას. სწორედ ასე ხდება არასრულწლოვნების მიერ შექმნილი ოჯახების შემთხვევაშიც.

ჩვენი ცხოვრება დაყოფილია გარკვეულ ეტაპებად და ერთ-ერთი მათგანია ბავშვობა. რამდენჯერ მომისმენია უფროსებისგან:

_ ნეტავ, ბავშვობის დაბრუნება შემეძლოს. ამ ციტატის ღირებულებას გვიან ვხვდებით, რომ ბავშვობას ვერასდროს დავიბრუნებთ. ის ისედაც ხანმოკლეა და ჩვენივე ხელით ნუ გავანადგურებთ.

ნანა ქავთარაძე

ნინო თევზაძე _ ერთოვნული ოლიმპიადის ინგლისური ენის ერთადერთი მონაწილე სამტრედიიდან

ნინო ნანიტაშვილი

საგნობრივი ოლიმპიადები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ყოველწლიურად ტარდება. ამ მხრივ გამონაკლისი არც წლევანდელი წელი იყო.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლები საგნობრივ ოლიმპიადაში აქტიურად ჩაერთვნენ. ათეულობით მოსწავლემ მონაწილეობა, ხოლო პირველ ტურში გამარჯვებულებმა მეორე ტურში მონაწილეობის უფლება მიიღეს.

მე-3 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე ნინო თევზაძე ის ბედნიერი გამონაკლისია, რომელმაც ინგლისურ ენასა და ლიტერატურაში გამოსცადა თავისი შესაძლებლობები. მან პირველი ტური წარმატებით გადალახა, ხოლო მეორე ტურში 40-დან 40 ქულა მიიღო.

მე-3 საჯარო სკოლის დირექტორი, ვენერა ივანიშვილი ნინო თევზაძეს საუკეთესო დახასიათებას აძლევს და მე-3 ეტაპზე გადასულს წარმატებას უსურვებს: "განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ყოველწლიურად ტარდება ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა ყველა საგანში. რა თქმა უნდა, ჩვენი სკოლის მოსწავლეებიც მონაწილეობენ ამ ოლიმპიადაში. პირველიდან მეორე ტურში რამდენიმე მოსწავლემ შეძლო გადასვლა, თუმცა დებულების მიხედვით, მესამე ტურში გადადიოდა ის მონაწილე, რომელიც ქულათა რაოდენობის მიხედვით, საქართველოს მასშტაბით მოხვდებოდა პირველ ასეულში, მეორე ტურის ბარიერი ჩვენი სკოლის რამდენიმე მოსწავლემ გადალახა, მაგრამ მესამე ტურში გადასვლა მე-10 კლასის მოსწავლემ, ნინო თევზაძემ შეძლო. ინგლისური ენის მეორე ტურის მაქსიმალურ ქულად განსაზღვრული იყო 40 ქულა და ნინო თევზაძეს მეორე ტურის ნაშრომი სწორედ 40 ქულით შეფასდა, რამაც ჩვენი სკოლის უდიდესი სიხარული გამოიწვია. რა თქმა უნდა, ეს არის დიდი წარმატება არა მარტო სკოლისთვის, არამედ რაიონისთვისაც, რადგან ნინო იყო ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის ინგლისური ენის მესამე ტურის ერთადერთი მონაწილე სამტრედიიდან. ვიმედოვნებთ, ნინო მესამე ტურშიც ძალიან კარგ შედეგს აჩვენებს და კიდევ ერთხელ გაგვახარებს თავისი წარმატებით, რადგან ის არის ბეჯითი, შრომისმოყვარე და მიზანდასახული პიროვნება". _ "სამტრედიის მაცნესთან" კომენტარში მე-3 საჯარო სკოლის დირექტორმა, ვენერა ივანიშვილმა განაცხადა.

"ერთ-ერთი დასაყრდენი ძალაა ჩვენი დაწესებულებისთვის"

ქეთევან ჭელიძე

სამუშაო საათები მთავრდებოდა, მაგრამ მასთან ჩვენი საუბარი მშვიდ გარემოში მაინც ვერ მოხერხდა. ანალიზების პასუხებისთვის ხან ვინ შემოაღებდა კარს და ხან ვინ. ამგვარი მოუცლელობა მისი პროფესიული საქმიანობის თანმდევი პროცესია. ბევრი მას ლუდა ექიმად იცნობს, ბევრიც "რუსის ქალი რომ არის", ასე მიგასწავლის მასთან, რადგან ლიუდმილა გეგეშიძის მიერ გაკეთებული ანალიზების სანდოობაში ეჭვი არავის შეაქვს. ჩვენც ამიტომ გადავწყვიტეთ, უფრო ახლოს გაგვეცნო იგი თქვენთვის. გვეამბნა პროფესიონალზე, რომელსაც თავის გამოსაჩენად საქმისადმი ერთგულების გარდა არაფერი უკეთებია.

ლიუდმილა გეგეშიძემ ბავშვობა სტავროპოლში გაატარა, იქ დაიბადა და გაიზარდა. ბევრი გოგონას მსგავსად ბავშვობაში "ექიმობანას" ისიც თამაშობდა, ბიძაშვილი ექიმი ჰყავდა და ამანაც უბიძგა, როსტოვში, სამედიცინო ინსტიტუტში გაეგრძელებინა სწავლა. სკოლაში კარგი მოსწავლე, სწავლით ინსტიტუტშიც გამოირჩეოდა, კათედრაზე დატოვებაც შესთავაზეს, მაგრამ უკვე დაქორწინებული იყო და ამის პირობა არ ჰქონდა.

ალექსანდრე გეგეშიძე ქალბატონმა ლუდამ ქართველი მეგობრის მეშვეობით გაიცნო, ისიც როსტოვის სამედიცინო ინსტიტუტში ეუფლებოდა ქირურგის პროფესიას. სწავლა რომ დაასრულა, ბატონი ალექსანდრე სამუშაოდ სხვა ქალაქში გაანაწილეს, სადაც მეუღლესთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა. ის კი იმ დროს როსტოვის პრესტიჟულ სამედიცინო დაწესებულებაში უკვე მუშაობდა. მალე ახალგაზრდა წყვილი, მშობლების დაჟინებული თხოვნით, საქართველოში, სამტრედიაში ჩამოვიდა. "ხომ იცით, როგორია ახალგაზრდობა, ენერგიით, ხალისით სავსე, არაფრის შიში არ მქონია, მაშინ არც კი ვფიქრობდი, უცხო ქვეყანაში როგორ ვიქნებოდი". _ ამბობს ჩვენი რესპონდენტი. მადლიერებას გამოხატავს მეუღლის მშობლებისა და ნათესავების მიმართ იმ თბილი და უშუალო დამოკიდებულების გამო თავი უცხოდ რომ არ აგრძნობიეს.

ლუდა გეგეშიძემ მუშაობა პირველად რაიონული საავადმყოფოს ლაბორატორიაში დაიწყო. მაშინ ლაბორატორიას პროფესიონალი ექიმი, ლამარა კოპალეიშვილი ხელმძღვანელობდა. საქმე ბევრი ჰქონდათ, თუმცა, როგორც თქვა, საქმეს თავს ადვილად ართმევ, როცა გიყვარს. შემდეგ სისხლის გადასხმის სადგურში ვიქტორ სურმავასთან დაიწყო მუშაობა. განსაკუთრებული სითბოთი იგონებს იქ გატარებულ წლებს, კოლეგებს, რომლებთანაც დიდხანს იმუშავა. გვიყვება იმ პასუხისმგებლობით სავსე საქმეზე, ადამიანის ჯანმრთელობას რომ ეხება და რისთვისაც ბოლომდე იხარჯებოდნენ.

კომპეტენტურმა ექიმ-ლაბორანტმა, თავმდაბალმა, უპრეტენზიო, საქმის ერთგულმა ქალბატონმა მეუღლესთან ერთად არა მარტო ოჯახური, პროფესიული თვალსაზრისითაც საუკეთესო ტანდემი შექმნა. კარგი ადამიანიაო, გვიხასიათებს ბატონ საშას; გვიყვება, თუ როგორც საუბრობენ ყოველთვის სახლში სამსახურზე და ერთმანეთის აზრებს ითვალისწინებენ.

"მას შემდეგ, რაც რაიონული საავადმყოფოს რეორგანიზაცია მოხდა, ჩვენ ერთ-ერთმა პირველებმა შევთავაზეთ ქალბატონ ლუდას სამსახური. თითქმის 50 წლიანი სტაჟის მქონე ექიმია, გამოცდილი, მაღალი კომპეტენციის. 2013 წლიდან მუშაობს ჩვენთან და საკმაოდ წარმატებულად. ერთ-ერთი დასაყრდენი ძალაა ჩვენი დაწესებულებისთვის. საკმაო რაოდენობით აკეთებს ანალიზებს, ჩვენთან ძირითადად კლინიკურ-ლაბორატორიული დიაგნოსტიკა და ბიოქიმიური გამოკვლევა ხდება. მის მიერ გაკეთებული ანალიზების უტყუარობა მაღალკვალიფიციურ სტაციონარებსა და საავადმყოფოებშიც დასტურდება. კარგი მეგობარია, კარგი თანამშრომელი, ყოველნაირად კარგი ადამიანია". _ გვითხრა მასზე შპს "პედიატრის" დირექტორმა ვახტანგ დუნდუამ.

კოლეგის მიმართ თბილ სიტყვებს არ იშურებს პედიატრი ცისანა კანდელაკი. ხაზს უსვამს მის კვალიფიკაციას, შრომისმოყვარეობას, ღირსეულ პიროვნულ თვისებებს.

ქალბატონი ლუდაც კმაყოფილია ამ კოლექტივში საქმიანობით, მათთან მუშაობით, პროფესიონალიზმით, მეგობრობით.

მთელი დღის განმავლობაში ტრიალებენ ექიმი ლაბორანტის კაბინეტში პაციენტები, სხვადასხვა ასაკის ადამიანები, განსაკუთრებით უყვარს ბავშვები და ცდილობს, გაუგოს, მათ იმ ემოციების გამო, პატარა ჩხვლეტას რომ მოჰყვება. "ზოგჯერ ამბობენ, რომ მკაცრი ვარ. ასეც ხდება, გარეთ გავდივარ და რიგში მყოფ ადამიანებს შენიშვნას ვაძლევ. ხმაურში არ შეიძლება ვიმუშავო, რომ რამე არ შემეშალოს." _ გვეუბნება იგი.

მის სამუშაო მაგიდაზე გაშლილ თუ წყებად დაწყობილ ანალიზების პასუხებს როცა თვალს გადაავლებ, მიხვდები, რატომ ფრთხილობს ექიმი. დღეში რამდენიმე ათეული ანალიზი უნდა აიღოს, მიკროსკოპში ჩაიხედოს, შეამოწმოს, დათვალოს, პასუხი ფურცელზე გადაიტანოს... ეს ყველაფერი კი მარტომ, სხვების დაუხმარებლად უნდა აკეთოს. საქმე საყოველთაო დაზღვევის შემდეგ უფრო მოეძალა. ამჯერად მას C ჰეპატიტის გამოკვლევაც დაემატა.

ქალბატონი ლუდა ყოველთვის იყო და არის იმ სპეციალისტთა რიგში, თავისი პროფესიონალიზმით საზოგადოებაში იმთავითვე რომ იმკვიდრებენ ადგილს. ღიმილით იგონებს, ერთი ქუთაისელი ექიმი, რომელმაც მისი სახელიც არ იცოდა, თუ როგორ ურჩევდა სამტრედიელ პაციენტებს, თქვენთან ერთი რუსის ქალია ლაბორანტი და მასთან მიდით ანალიზებზეო. მის პრაქტიკაში ისეთი შემთხვევაც მრავლადაა, როცა სამტრედიაში გაკეთებული ლაბორატორიული გამოკვლევის გადამოწმება სხვა უფრო თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ კლინიკებში საჭიროდ ჩაუთვლიათ და გაოცება ვერ დაუფარავთ, მათი უტყუარობის გამო. გამოცდილი ექიმი დღესაც ივითარებს თავის ცოდნას, ინტერნეტით იქნება ეს, თუ რუსეთიდან თანაკურსელების მიერ მიწოდებული ინფორმაციებით.

არა მარტო კარგი ექიმია ქალბატონი ლიუდმილა, კარგი მეუღლე, დედა და ბებიაცაა. 2 შვილი და 3 შვილიშვილი ჰყავს. რომანი სტომატოლოგია და რუსეთში ოჯახთან ერთად ცხოვრობს. ვიოლა "ჯეოჰოსპიტალსის" ექიმი პედიატრია. პარალელურად სამტრედიაში საოფთიაქო ქსელ პსპ-შიც მუშაობს.

"მინახვს, თუ როგორი მძიმე პაციენტი შემოუყვანიათ საავადმყოფოში და მშვიდად, ყოველგვარი პანიკის გარეშე გამოუყვანია მდგომარეობიდან. კომპეტენტური ექიმია, მშვიდი, წყნარი, მცოდნე, მე მას ვენდობი". _ გვიხასიათებს ვიოლას რენტგენოლოგი ხათუნა ქიშმარია.

არ მალავს ქალბატონი ლუდა, რომ მკაცრი დედა იყო. მის სიტყვას ყოველთვის ანგარიშს უწევდნენ შვილები. მათ კი ყოველგვარი პირობა ჰქონდათ, შესაბამისი განათლება მიეღოთ. ყოველთვის დაკავებულები იყვნენ და უქმად ყოფნის დრო არასდროს ჰქონიათო, _ დასძენს.

ერთიც, თავისი გვარი ვკითხეთ ქალბატონ ლუდას და გეგეშიძეო, დაქორწინების შემდეგ მხოლოდ მას ვატარებო. ქართულ გვართან ერთად კარგა ხანია, საქართველოსაც საკუთარ ქვეყნად თვლის ის და არასდროს უნანია თავისი არჩევანი.

სიურპრიზი საქართველოში საუკეთესო ფილიალისგან

თეა ბაბუნაშვილი

შთამბეჭდავი ღონისძიება სიურპრიზად მათ, ვინც მთელი შეგნებული ცხოვრება ოჯახებს, ქალობას, დედობას, საზოგადოებას მიუძღვნეს, მაგრამ ზოგ შემთხვევაში მეტად, ზოგ შემთხვევაში ნაკლებად დაინახეს ისინი. წლების შემდეგ გაცემული და დახარჯული ამაგისთვის, მადლისთვის, შრომისთვის, ბრძოლისთვის განსაკუთრებულად მოეფერნენ. იმ საზეიმო სუფრასთან, საქართველოს "წითელი ჯვრის" სამტრედიის ორგანიზაციამ რომ მიიწვია, უკვე ასაკში შესულმა ქალბატონებმა განსაკუთრებულად თქვეს მადლობა. გულწრფელი ცრემლის მიზეზი გაუმხილეს მათთან სტუმრად მისულ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას. "იქნებ არ გშიოდეს, მაგრამ ეს ყურადღება ყველაზე გემრიელი ლუკმაა, ყველაზე დიდი დაფასებაა. მადლობა ამ დღისთვის ამ წუთებისთვის სამტრედიაში "წითელი ჯვრის" წარმომადგენლებს. მათგან თანადგომა არ გვაკლია, მაგრამ სარვამარტოდ ამგვარი საჩუქარი განსაკუთრებით ამაღელვებელია." _ აღნიშნავდნენ ერთხმად.

საქველმოქმედო სადილი საქართველოს "წითელი ჯვრის" საზოგადოების სამტრედიის ფილიალის "საქმიანობათა დღის ცენტრის" ბენეფიციართათვის, ორგანიზაციის სამტრედიის ფილიალის ორგანიზებით, მუნიციპალიტეტის გამგეობის დაფინანსებით, ბიზნესმენ ბონდო ანჯაფარიძის და რესტორან "ქალაქის გულის" დახმარებით განხორციელდა. როგორც ორგანიზაციის სამტრედიის ფილიალის ხელმძღვანელი ნათია პაპავა აღნიშნავს, "ეს მორიგი საქველმოქმედო აქციაა ჩვენი ორგანიზაციის ეგიდით მოწყობილი. ძირითადად, ის ბენეფიციარები არიან წარმოდგენილნი, რომლებიც ბინაზე მომსახურებას საჭიროებენ. მათ ჰიგიენური ნივთებით თუ სხვა საჭირო მედიკამენტებით ვეხმარებით. ამჯერად 22 ქალბატონს ვმასპინძლობთ, რადგან რამდენიმე მათგანმა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მოსვლა ვერ შესძლო.. შევეცადეთ, მათდამი სითბო გამოგვეხატა, მოვფერებოდით."

სანამ სპეციალურად ამ დღისთვის გამომცხვარი ტორტი გაიჭრებოდა, იცის შევიტყვეთ, რომ სამტრედიის ფილიალი საუკეთესო ორგანიზაციად დასახელდა საქართველოს მასშტაბით "წითელი ჯვრის" საზოგადოების ფილიალებს შორის. იგი 37 ორგანიზაციას შორის პირველია.

სიმბოლური საჩუქრები ფურისულებთან და ყოჩივარდებთან ერთად, სარვამარტო ღონისძიების კიდევ ერთი დასამახსოვრებელი სიურპრიზი იყო. სუფრას მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერი ფოცხვერია თამადობდა. გულისხმიერებისა და არდავიწყებისთვის გულწრფელი მადლიერება არაერთ სადღეგრძელოდ ითქვა სუფრასთან, სადაც ცხოვრებით დაღლილი ქალბატონები ისხდნენ.

და განა მარტო მუნიციპალიტეტის გამგეობის სამადლობელი, ყველა იმ თანამშრომლის მიმართ, ვინც სამტრედიაში "წითელ ჯვარს" წარმოადგენს ათასი თბილი და კეთილი სიტყვა დაიხარჯა. აღინიშნა, რომ ისინი არიან ადამიანები, ყოველდღიურ გასაჭირს გულითადად რომ უმსუბუქებენ ბენეფიციარებს.

საქველმოქმედო აქციებს, პატივისცემით განმსჭვალულ ღონისძიებებს მიჩვეულნი არიან, "წითელი ჯვრის" ორგანიზაციის სამტრედიელი ბენეფიციარები. სჯერათ გაზაფხული ბევრ სასიამოვნო სიახლეს მოუტანს მათ და ყოველივე ამის შემოქმედნი სამტრედიის ფილიალის მესვეურები იქნებიან.

ვისაც ლიტერატურა უყვარს

მინდა, ეს პრინციპები ჩემს ყოველდღიურობაში დავიცვა

ნათია ნაცვლიშვილი

ჩვენი რუბრიკის ერთ-ერთი სიკეთე ისაცაა, მაღალჩინოსნები განსაკუთრებულ ამბლუაში წარმოგვიჩინოს. გავიგოთ, როგორია სულიერი და ინტელექტუალური სამყარო ადამიანებისა, რომელთაც ჩვენს ბედზე ზრუნვა მივანდეთ. ამ რუბრიკის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე მქონია შემთხვევა, ყველაზე ძნელად მოსახელთებელი და სხვა თემებზე საუბრის არამოსურნე რესპონდენტებიც კი სიამოვნებით დასთანხმებიან წიგნსა და წიგნიერებაზე საუბარს. ამჟამად წიგნისმოყვარე მაღალჩინოსანს, მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველ მოადგილეს, დავით ბახტაძეს წარმოგიდგენთ, რომელიც მედიასთან საუბარს არასოდეს არიდებს თავს და ამ რუბრიკაში მონაწილეობასაც სიამოვნებით დასთანხმდა.

_ რა ფენომენია წიგნი, რა დატვირთვა აქვს მას თქვენთვის?

_ წიგნს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ცოდნის დონის ამაღლებისათვის. მაგალითად, ჩემთვის წიგნის სიყვარული იწყება ბავშვობაში დედის მიერ წაკითხული ზღაპრებიდან, საბავშვო მოთხრობებიდან, დედა პედაგოგი მყავს. ბავშვობაში წაკითხული ზღაპარი თუ მოთხრობა ალბათ, პირველი გზამკვლევია თითოეული ადამიანის ცხოვრებისა. თანამედროვე სამყაროში, სადაც საოცარი სისწრაფით ვითარდება ტექნოლოგიები, არის კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალება, ინფორმაციის მიღების მრავალი ელექტრონული წყარო, წიგნი მაინც შეუცვლელია. სხვა განცდაა, საინტერესო წიგნს რომ ვერ სცილდები, მომდევნო ფურცლის გადაფურცვლასაც თავისი განუმეორებელი ხიბლი აქვს, არა მგონია, წიგნის როლი როდესმე შეიცვალოს, თუმცა ელექტრონული წიგნიც უნდა გამოიყენოს ადამიანმა.

_ ელექტრონული წიგნების კითხვა გიყვართ?

_ რამდენჯერმე ვესტუმრე "საბას" ელექტრონულ ბიბლიოთეკას, გაცნობის მიზნით, რატომღაც, შეიძლება მოძველებული ყაიდის ადამიანად ჩამთვალოთ, მაგრამ ჩვეულებრივი წიგნის წაკითხვას ვამჯობინებ.

_ ტექნიკური ბეგ-რაუნდის მქონე ადამიანი ხართ, რა ჟანრის ლიტერატურა უფრო გიტაცებთ?

_ ძალიან მიზიდავს მხატვრულ-ისტორიული ნაწარმოებები, რუსული სკოლა დავამთავრე და რუსი კლასიკოსები მომწონს, თუმცა, დღეს ეს თემა არაა პოპულარული გარკვეულწილად, ქვეყნებს შორის დამოკიდებულების გამო. მაგრამ მე ასე არ ვთვლი...

_ იმიტომ, რომ თქვენთვის არსებობს დოსტოევსკისა და პუტინის რუსეთი...

_ დიახ, მეორე რუსეთიც არსებობს, რომელმაც დათვური სამსახური გაგვიწია. ძალიან დიდ მწერლად მიმაჩნია ლევ ტოლსტოი. ჩემთვის საინტერესო ნაწარმოებთა რიცხვშია "ომი და მშვიდობა". ამ წიგნის წაკითხვა, არა მგონია, ვინმეს არ აინტერესებდეს. ალბათ, არ არსებობს ქართველი კაცი, ნოდარ დუმბაძის თუნდაც ერთი წიგნი არ ჰქონდეს წაკითხული. როგორ შეიძლება, ლადო ასათიანის ლექსი არ მოგეწონოს. საუკუნეებს შემოუნახა შოთა რუსთაველის "ვეფხისტყაოსანმა" ქართული სული, ქართული ენა, აზრი, ცხოვრებისეული ღირებულებები, "მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარმრავალი, ყმიანი." ამ შესანიშნავ სიტყვებს უნდა ჩასწვდე ადამიანი. ბედნიერები ვართ, რომ ჩვენია, ქართველია, შოთა რუსთაველი...

_ თანამედროვე ქართველ მწერლებს ან უცხოელ კლასიკოსებს იცნობთ?

_ სამწუხაროდ, სამსახურებრივი რეჟიმიდან გამომდინარე, მხატვრულ ლიტერატურას ძალიან მცირე ადგილი უკავია ჩემს ცხოვრებაში. ფიზიკურად ვერ ვახერხებ. ბავშვობაში რომ დავბრუნდე, უცხო ქვეყნების გაცნობა დედის წაკითხული უცხოური ზღაპრებით დავიწყე. ზღაპარი ბავშვს მსოფლმხედველობას უზრდის, შარლ პეროსა და ჰანს კრისტიან ანდერსენის ზღაპრებით მოხდა ჩემი პირველი შეხება უცხოეთთან, არა მარტო ლიტერატურასთან, კულტურასა და გეოგრაფიასთან. სკოლამდე დავინტრესდი საფრანგეთით, დანიით თუ გერმანიით.

_ დიდი საოჯახო ბიბლიოთეკა გაქვთ?

_ საკმაოდ დიდი. არის წიგნები, რომლებიც მე არა, მაგრამ ჩემს ძმას აქვს წაკითხული. იქნება ეს რუსული თუ ქართული ენციკლოპედიები.

_ შვილებს უძენთ ახალ გამოცემებს?

_ ახლა გვაქვს შეკვეთა მიცემული ნოდარ დუმბაძის მრავალტომეულზე. რა ვქნათ, შევუკვეთოთო, მკითხეს შვილებმა და ამას დაფიქრებაც არ უნდა. ბავშვი უნდა იყოს ახლოს წიგნთან, ეს სიყვარული კი მას უნდა ჩაუნერგოს აუცილებლად მშობელმა, აღმზრდელმა. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა ვუთხრა ჩემი შვილების ბაღის პედაგოგ მარინა კაკაბაძეს. დიდი მნიშვნელობა აქვს სკოლამდელ აღზრდას, სკოლაში ჩემი შვილები შევიდნენ წერა-კითხვისა და ანგარიშის მცოდნენი, დარწმუნებული ვარ, ასეთი ძალიან ბევრი პედაგოგია.

_ თქვენს სამუშაო მაგიდაზე მრავლად აწყვია იურიდიული და ტექნიკური ლიტერატურა, თანამდებობიდან გამომდინარე გიწევთ გადახედოთ და გაეცნოთ კოდექსებსა და კანონთა კრებულებს. როგორ ფიქრობთ, თანამდებობის პირისთვის წიგნიერება, განათლება რამდენად მნიშვნელოვანია?

_ განათლება მნიშვნელოვანია არა მარტო თანამდებობის პირისთვის. განსაკუთრებით მაღალჩინოსნისთვის განათლება არის უპირველესი ნიშნული. თუ ეჭვი გეპარება ადამიანს, რომ რაღაც საქმეში მოიკოჭლებ, რბილად რომ ვთქვათ, არც უნდა იფიქრო თანამდებობის დაკავებაზე, რადგან ეს არ არის კარგი, პირველ რიგში, ქვეყნისთვის და არც იმ ადამიანისთვის. განათლებას ამ ბოლო წლებში დიდი ყურადღება ექცევა ხელისუფლების მხრიდან. ახლახან პრემიერმა განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ვიცე-პრემიერის ფუნქციით აღჭურვა. ეს აღვიქვი არა პიროვნულ დამსახურებად განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა, არამედ იმად, რომ გაესვა ხაზი განათლებას და მეცნიერებას. ხელისუფლების მიდგომა ასეთია განათლებისადმი. პატარა ქვეყანა ვართ, არ გვაქვს შეასძლებლობა, გარე თუ შინაურ მტერს იარაღით გავუმკლავდეთ, ჩვენი მათავარი იარაღი განათლებაა. ცოდნის დონის ამაღლება სტრატეგიულად მნიშვნელოვანია... დღევანდელ სამყაროში ნათლად ჩანს, რომ რაღაც უხილავი, ბოროტი ძალა ცრუ ფასეულობებს და ღირებულებებს ავრცელებს, ზოგან ეს კარგად გამოდის, ზოგან კი ჭირს ამის განხორციელება. მჯერა, საქართველოში ეს ცრუ ფასეულობები ფეხს ვერ მოიკიდებს, რადგან ქართველი კაცი ყოველთვის იყო განათლებული, ჩვენი მთავარი ამოცანაა, მეტი განათლებული ადამიანი იყოს საქართველოში. საჯარო მოხელე იქნება თუ ესა თუ ის თანამდებობის პირი, ადამიანს არ უნდა ეთაკილებოდეს შეკითხვა, ყოველდღიური ცოდნის დონის გაღრმავების რეჟიმში ვმუშაობ, თანამედროვე ტექნოლოგიები ისეთი სისწრაფით ვითარდება, ყოველდღიურად უნდა შეეცადო, ახალი ცოდნა შეიძინო. ისეთი საკანონმდებლო აქტების წაკითხვა მიწევს, ისინი ამ მომენტში არ მჭირდება, მაგრამ, ზოგადად, ადგილობრივი თვითმმართველობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს აუცილებლობას წარმოადგენს ჩემთვის და ჩემი კოლეგებისათვის.

_ მეგობრებს ირჩევთ თუ არა წიგნიერების, განათლებულობის კრიტერიუმით? უფრო კომფორტულად გრძნობთ თუ არა თავს წიგნიერ ადამიანებთან?

_ ძირითადად, შემიძლია ვთქვა, ჩემს სამეგობროში განათლებული ადამიანები არიან, რა თქმა უნდა, მათთან კომფორტულად ვგრძნობ თავს, არც ისეთი ვარ, მეთაკილებოდეს ვინმეს რამე ვკითხო. განათლებული ადამიანი არასოდეს ჩაიდენს ისეთ ცუდ საქციელს, როგორსაც _ გაუნათლებელი. ალბათ, ხარბად დავეჭიდები მეგობრობას განათლებულ ადამიანთან.

_ ეთანხმებით მოსაზრებას, რომ განათლებას ასაკი არ აქვს? მეგობრობთ უფროსი ასაკის ადამიანებთან, რომლებთან ურთიერთობაც მენტალურად გზრდით?

_ კი ბატონო, ბევრი იყო ისეთი, ვისთანაც საუბარი მსიამოვნებდა, ბევრ რამეს ვსწავლობდი და ვსწავლობ დღესაც. გარკვეულწილად მეამაყება, რომ მამაჩემის ბევრ მეგობართან ახლაც ვმეგობრობ.

_ სახელდახელოდ გაიხსენეთ რომელიმე ციტატა ნაწარმოებიდან, რომელსაც საუკეთესო ფრაზად, ცხოვრებისეულ სენტენციად მიიჩნევთ...

_ ქართული ლიტერატურის უამრავი მარგალიტიდან შეიძლება ცხოვრება ისწავლო. უცებ კი, ჭაბუა ამირეჯიბის "დათა თუთაშხიადან" ერთი ციტატა მახსენდება: "შენს სამშობლოში შენი ოჯახის დესპანი უნდა იყო, სამშობლოს გარეთ კი _ ქვეყნის და ერის, რამეთუ შენი საქციელი ქვეყნის შიგნით შენი ოჯახის სახეა, ქვეყნის გარეთ კი შენი ერის." მინდა ეს პრინციპები ჩემს ყოველდიურობაში დავიცვა და გამოვიყენო.

_ როგორ ფიქრობთ, თქვენმა შვილებმა უნდა ისწავლონ საზეპიროები? რა დაგაკლოთ იმან, რომ ამ ინტერვიუში ციტატები მოგყავთ ქართველთა უპირველესი ნაწარმოებებიდან?

_ როგორც პროფესიონალი, ვერ დავიწყებ განათლების მინისტრის განსჯას, მაგრამ ჩემი პირადი მოსაზრებით, საჭიროა, ბავშვმა ლექსი დაიზეპიროს, ზღაპარი თუ ვერ დაიზეპირა, შინაარსი უნდა დაიმახსოვროს. ლექსების მცოდნე არ გახლავართ, ლექსს ვერ ვკითხულობ, მაინც მგონია, ეს ნიჭი არ მაქვს, მაგრამ სერიოზულად მსიამოვნებს სხვა რომ კითხულობს. სხვათა შორის, ბავშვობაში ნასწავლი რაღაც სტროფები მახსენდება ხოლმე. ძალიან კმაყოფილი ვარ ჩემი ყველა პედაგოგის, საკმაოდ სერიოზული ცოდნა სკოლაში შევიძინე. რა თქმა უნდა, მშობლები მაძლევდნენ მაგალითს იმისა, ბევრი წამეკითხა. ყველა პედაგოგი ძალიან მიყვარს. სკოლა რომ დავამთავრე, ბევრი ჩემი პედაგოგი ჩემი მეგობარი გახდა.

_ მოგწონთ თქვენი შვილების თაობის წიგნთან ურთიერთობის მასშტაბი და ხარისხი?

_ ალბათ, მაინც კრიტიკულ დამოკიდებულებას გამოვხატავ, მიუხედავად იმისა, რომ წარჩინებით სწავლობს ქალიშვილი, ვაჟიც კარგი მოსწავლეა, მაგრამ ვისურვებდი, უკეთ იმეგობრონ წიგნთან. ბავშვებზე გარკვეულწილად მოქმედებს ეს თანამერდოვე საშუალებები _ ინტერნეტი, სოციალური ქსელები და სხვა. ვიმეორებ, წიგნი შეუცვლელია!

სოფიო კირთაძე მეზღაპრის მანტიით

ნინო ნანიტაშვილი

"ლომი და თაგვი" _ პატარებისთვის საყვარელი ზღაპრის შინაარსის გასაცნობად სკოლა "ლამპარს" 9 მარტს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის დირექტორი, სოფიო კირთაძე ესტუმრა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სკოლა "ლამპარში" ზღაპრების წასაკითხად ხშირად მიდიან ადამიანები, თუმცა სოფიო კირთაძე პირველი სამტრედიელია, რომელმაც გადაწყვიტა, გაზაფხულის ერთი მშვენიერი დღე "ლამპარის" აღსაზრდელებთან ერთად გაეტარებინა. "ჩემთვის დიდი სიამოვნება არის, ასევე მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობაც, ვიყო ამ ბავშვების გვერდით და ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში გავაფერადო მათი ყოველდღიურობა. მინდა, მადლობა გადავუხადო "ლამპარის" პედაგოგებს, პროექტის კოორდინატორს სამტრედიაში, ნინო გელაშვილს, ვინაიდან აქ იგრძნობა მათი ყოველდღიური მუშაობა, და შედეგიც დღევანდელი დღეა." _ აღნიშნა "სამტრედიის მაცნესთან" საუბარში სოფიო კირთაძემ.

სტუმრებთან თავის მოწონების მიზნით 9 მარტს დღის ცენტრ "ლამპარში" თავის მხრივ აღსაზრდელებმა წარმოადგინეს საკონცერტო ნომრები. მათი სიმღერა, ცეკვა და ლექსი მიძღვნილი იყო დედის და ქალის დღესასწაულებისადმი.

"ლომი და თაგვი" _ ამ ზღაპრის წაკითხვის შემდეგ სასიამოვნო სტუმართან, სოფიო კირთაძესთან ერთად "ლამპარის" აღსაზრდელებმა ზღაპრის მოკლე შინაარსი და ნაწარმოების მიზანიც გადმოსცეს, რომ სიკეთის კეთება დიდსაც და პატარასაც თანაბრად შეუძლია.

გაზაფხული სხვა რაკურსით

ნათია ნაცვლიშვილი

აქ ყველანაირ კეთილ ავანტიურას ასხამენ ფრთებს. ნაბაკევის სკოლაში საინტერესო და შთამბეჭდავი ღონისძიებები არ გვიკვირს. ახლაც საგაზაფხულო ღონისძიებაზე მიგვიწვიეს. აქაოდა, რომელი მასწავლებელიც არ მოგწონთ, შეგიძლიათ სახლში გაუშვათო, გვითხრეს უფროსკლასელებმა. სიმბოლურად ყველანი გაუშვეს და სკოლაში მარტო დარჩენილები გაერთვნენ. ამ გართობაში ერია დიდი იუმორი, პედაგოგებისა და დედებისადმი გამოხატული დიდი სითბო, ურთიერთსიყვარული და პატივისცემა. ამ ჟრიამულებას დიდი ტკივილიც ახლდა, ამქვეყნიდან ტრაგიკულად წასული 19 წლის სალომე გოგაძის მოგონების სევდა. საღამოს მიმდინარეობისას ეკრანიდან დასცქეროდა თანასკოლელებს სალომე. დარბაზში მყოფთ ცრემლები ვერ შეიკავეს, როცა მოსწავლეებმა სიცოცხლითა და სიყვარულით სავსე გოგონას სიმღერა მიუძღვნეს.

ყველა ცეკვა მოსწავლეებმა თავადვე დადგეს. ქორეოგრაფები ზურაბ თოდუა, თორნიკე ჩხაიძე, სერგო ბაბუნაშვილი, გოგა ქათამაძე, ნათია და ქეთი აქირთავები იყვნენ. ღონისძიებაში უფროსკლასელებთან ერთად მეექვსეკლასელებიც ჩაერთვნენ. ჰიპ-ჰოპის დასრულებისთანავე შუქი გამოირთო, მაგრამ სკოლაში იდეალურად მომუშავე ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის წყალობით (კათედრის ხელმძღვანელი შორენა თადუმაძე) მუსიკალურ ნაწილს ვრცელი ლიტერატურული კომპოზიცია ჩაენაცვლა. შესანიშნავი ლექსებით შეამკეს სამყაროს ძალა და ხერხემალი _ ქალი, ვინც უპირველესი ტვირთის, დედობის ტვირთის სატარებლად გაუჩენია განგებას და იმისთვის მიუცია ორი თვალი, ერთი თავისად უჭრიდეს და მეორე შვილისად... ვაჟები მართლაც რომ ენამზეობდნენ და ერთურთს ეჯიბრებოდნენ სატრფიალო ლირიკის შედევრების წარმოთქმაში. ინდურ ცეკვას ესპანური, აჭარულს ლეკური და დაისი ენაცვლება, ფოლკლორული მარგალიტები ფანდურზე ააჟღერეს და დადებითად დაგვმუხტეს. სკოლის დირექტორმა, ეკა ჯამბურიამ ღონისძიების ბოლოს მადლობა გადაუხადა მოსწავლეებს და აუდიტორიას მიმართა: “ძვირფასო პედაგოგებო, გაზაფხულის ლამაზი დღესასწაულები მოგვილოცეს ჩვენმა მოსწავლეებმა, ჯანმრთელობას და წარმატებებს გისურვებთ! ჩემო საყვარელო მოსწავლეებო, მადლობა იმიტომ, რომ ეს შრომა გაკვეთილების ხარჯზე კი არ გასწიეთ, არამედ თავისუფალი დრო გამონახეთ. ძვირფასო პედაგოგებო, დღეს თქვენ თქვენი მოსწავლეები ბევრი სხვა კარგი და ლამაზი რაკურსით დაინახეთ, მე პირადად მოვიხიბლე ნუკრი დანგაძით, რომელიც შესანიშნავი ლექსებით წარსდგა აუდიტორიის წინაშე. ეს იყო საღამო, რომელიც მთელი გულით მოგვიძღვნეს ბავშვებმა. ნიჭიერება, პასუხისმგებლობა და სიყვარული გააერთიანეს და შედეგიც სახეზეა.”

3 მარტი მე-4 ბაგა-ბაღში

ნინო ნანიტაშვილი

თემა “გაზაფხული”, ქვეთემა “დედა”, 5-6 წლიანთა ჯგუფის მიერ ჩატარებული საზეიმო დილა აქტივობების ჩართულობით მე-4 ბაგა-ბაღში 2 მარტს გაიმართა.

მოწვეულ სტუმართა შორის იყო სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება. პედაგოგმა ნინო რუხაძემ აქტივობა დაიწყო გაზაფხულით. იყო შემეცნებითი კითხვები, გამოყენებული იქნა სხვადასხვა ცენტრებში შესწავლილი პროგრამული მასალა.

მე-4 ბაგა-ბაღის სასკოლო ჯგუფის აღსაზრდელებმა საუკეთესოდ წარმოაჩინეს სკოლისათვის მზაობა. პედაგოგის მიერ დასმულ კითხვებს ლამაზი გოგო-ბიჭები სწორად და გააზრებულად პასუხობდნენ.

ბავშვებმა იციან წელიწადის დროები, რომ ცივი და მკაცრი ზამთრის შემდეგ გვესტუმრა თბილი და ფერადი გაზაფხული, იღვიძებს ბუნება და იშლება ყვავილები, იკვირტება ხეები, შორეული ქვეყნებიდან მოფრინავენ კუდმაკრატელა მერცხლები. პატარებმა იციან, რომ გაზაფხულზე მზე მეტად გვათბობს და მიწა ბალახით იმოსება. მთებში ჩნდება რაკრაკა ნაკადულები.

ღონისძიების მონაწილეებმა წიგნიერების შემდეგ მანიპულაციის ცენტრში გადაინაცვლეს, სადაც გამოავლინეს ელემენტარული, მათი ასაკის შესაბამისი მათემატიკის ცოდნა, აგრეთვე, კითხვებისათვის მოსამზადებელი მუშაობა. სტუმრები დაარწმუნეს იმაში, რომ 5-6 წლიანებმა კარგად იციან დედაენის ის გასაღები, რასაც ანბანი ჰქვია: ასო-ბგერები, ხმოვნები, თანხმოვნები, სიტყვების დასახელება, მარცვლები და წინადადებების შედგენა. “მე მიყვარს დედაენა” აქტივობაში აქტიური მონაწილეობა მე-4 ბაგა-ბაღის აღსაზრდელებმა სიგელები და ღიმილები დაიმსახურეს.

ღონისძიება მთლიანად მიეძღვნა დედიკოებს. პატარებმა ძვირფას ადამიანებს ხელოვნების ცენტრში ხელით დამზადებული თაიგულები მიართვეს.

ყველასთვის სიურპრიზი აღმოჩნდა გაზაფხულის ფორმაში გამოწყობილი მე-4 ბაგა-ბაღის მმართველის, ნანა დუნდუას შემოსვლა, რომელმაც გაზაფხული მიულოცა აღსაზრდელებსა და სტუმრებს. საზეიმო დილა გააგრძელეს ანჟელა ქობალიას 3-4 წლიანთა და ციცინო ფესვიანიძის 2-3 წლიანთა ჯგუფებმა. პატარებმა თავიანთი შემოქმედებით სკოლამდელ დაწესებულებაში შეძენილი ცოდნა წარმოაჩინეს და დედიკოებს 3 მარტის დღესასწაული მიულოცეს, მიართვეს თავიანთი ხელებით გაკეთებული ყვავილები.

გაერთიანების დირექტორმა ხათუნა გაგუამ, მეთოდისტებმა მარინა ბაღდავაძემ და მარინა ქოჩოვმა ღონისძიების ბოლოს შეფასებები გააკეთეს. მადლობა გადაუხადეს ზეიმის მონაწილეებს, ბაგა-ბაღის ადმინისტრაციას, მმართველს და მშობლებს.

მონების საკარჯიშო უფროსკლასელებისა და აბიტურიენტებისათვის



1. ვინ გადაიღო პირველი ქართული მხატვრული ფილმი “ქრისტინე?”
2. რა ჰქვია გემზე მომუშავე მზარეულს?
3. რომელ წელს მიიღეს საქართველოში ქალებმა უფლება, მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებში?
4. რის გამო, რის შედეგად გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერ-კონსტრუქტორი სერგეი კოროლიოვი?
5. რომელი ქვეყნის ლიდერი იყო ბაბრაქ ქარმალი?
6. რა პირობითი სახელებითაა ცნობილი ჰიროსიმასა და ნაგასაკში ჩამოგდებული ატომური ბომბები?
7. რა ეწოდებოდა აგვისტოს ძველი ქართული წარმართული კალენდრის მიხედვით?
8. რომელ წელს დაარსდა თბილისის ზოოლოგიური პარკი?
9. რამდენი წლის ასაკში გარდაიცვალა სოლომონ დოდაშვილი?
10. რომელ წელს მოხდა ხრესილის ომი?

ფეიდგინა ლევან გაგეჩავა
ტრადიციისამებრ, სწორი პასუხების გამოგზავნა ავტორის მიერ დაკმაყოფილდება.

ეს ბავშვები მთებს გადადგამენ!

ნათია ნაცვლიშვილი

სასკოლო მზაობის პროგრამა პირველად მუნიციპალიტეტის ყველაზე მრავალრიცხოვან, მეოთხე ბაგა-ბაღში (მმართველი ნანა დუნდუა) განხორციელდა. საპილოტედ მოსამზადებელი ჯგუფი შეირჩა და პრაქტიკაში იმ პროგრამის გატარება, რომლის ძირითადი არსი მოზარდის მსოფლიო მოქალაქედ აღზრდა და ჩამოყალიბებაა, პედაგოგ მარინა კაკაბაძეს მიანდეს. ნაღვაწის წარმოსაჩენად პედაგოგმა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების ხელმძღვანელობა, მეთოდისტები, მუნიციპალიტეტის ხელისუფლების წარმომადგენლები და მედიასაშუალებები მოიწვია.

საპილოტე ჯგუფს ბავშვთა ის კონტინგენტი წარმოადგენს, რომელთაც სკოლაში შესვლა შეუსრულებელი ექვსი წლის გამო ვერ შეძლეს. ბავშვებმა ოთახიდან ბაღის დარბაზში ყველა სამშვენისი გადმოიტანეს, გაზაფხულის, შემოდგომისა და ზამთრის მრავალფეროვნება თავადვე განასახიერეს და საინტერესო აქტივობა შემოგვთავაზეს. პროგრამა თამაშ-თამაშ ცოდნის შეძენას ითვალისწინებს. ამ ბავშვებმა უკვე წერა-კითხვა და ანგარიში იციან, შემუშავებული აქვთ ჯგუფის პარლამენტის მიერ მიღებული წესები. ესენია: დილით ადრე ვდგებით, ბაღში არ ვხმაურობთ, არ ვანაგვიანებთ, არ ვისვრით სათამაშოებს, ვმეგობრობთ და საღამოს ვემშვიდობებით ერთმანეთს. მოსწავლეებმა უპასუხეს პედაგოგის არაერთ შეკითხვას. ისინი უკვე პატივს სცემენ ჩვენს პლანეტაზე, დედამიწაზე არსებულ წესრიგს და თავს ამ წესრიგის პატარა შემადგენელ ნაწილებად მიიჩნევენ. პედაგოგმა მარინა კაკაბაძემ იხუმრა, ერთი ბავშვი უკვე ანტირეკლამას მაღაზიებშიც კი უწევს არაჯანსაღ კვებას და ამის გამო მაღაზიის მეპატრონეც კი გავაბრაზეო. ბავშვებმა იციან ეტიკეტის მნიშვნელობა, თამაშ-თამაშით გაეცვნენ ეკოლოგიის საკითხებს, რომ არ უნდა დაყარონ ძირს ცელოფნის პარკები, რამაც შეიძლება ცხოველები მოწამლოს და მოკლას კიდეც. პედაგოგებმა ნანა ჟვანიამ და ლიკა შუბლაძემ სამანიპულაციო კოლოფები მოიტანეს, საიდანაც ბავშვებმა ტკბილეულიც კი ამოალაგეს და მათი უკიდეგანო ფანტაზიის წყალობით, მარმელადის თუ შოკოლადის ჩხირებთან სინთეზით საინტერესო კომპოზიციები მოამზადეს. უკვე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების უფროსის ამპლუაში სტუმრობდა ღონისძიება-გაკვეთილს ხათუნა გაგუა, რომელსაც წილად ხვდა პატარების ნამუშევრების შეფასება. მან ყველას მოუწონა შრომა და ხელგარჯილობა. 36 წლიანი პედაგოგიური სტაჟის მქონე პედაგოგმა, მარინა კაკაბაძემ სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების მეთოდისტს, მანანა გოდუაძეს სიურპრიზი მოუმზადა, მისი ყოფილი მოწაფის, ქალბატონი მანანას ვაჟიშვილთან ერთად ამავე ბაღში გადაღებული ფოტო უსახსოვრა. პედაგოგმა ხურჯინიდან მრავალი ნივთი-თვალსაჩინოება ამოალაგა, რომელთა შესახებაც პატარებმა ისაუბრეს. აქვე დააანონსა პედაგოგმა, რომ სააღდგომოდ მისი აღსაზრდელები წარმოადგენენ სპექტაკლს ტკბილეულის ქვეყნის უფლისწულ მაკნატუნაზე.

''სამტრედიის მაცნემ'' კომენტარი სთხოვა მუნიციპალიტეტის გამგებელ ვალერიანე ფოცხვერიას: '' ძალიან კმაყოფილი ვარ, ბაღიდან და ოჯახიდან იწყება ყველაფერი, განსაკუთრებით მომეწონა ეკოლოგიასთან პატარების დამოკიდებულება, მადლობა ქალბატონ მარინას, უკვე ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას უწევენ რეკლამას მისი აღსაზრდელები, რაც ძალიან სასიამოვნოა, მადლობა ბაღის ხელმძღვანელობას.''

ხათუნა გაგუა: '' ვინაიდან ეს ყველაზე დიდი ბაღია, ბავშვთა რაოდენობაც დიდია, საკმაოდ რთული დავალება მივეცით ქალბატონ მარინას, ეს პროგრამა ყველასათვის ახალი იყო, მაგრამ ზუსტად მოერგო ქალბატონი მანანა მას, შესანიშნავად გაართვა თავი, შეიძლება საყურებლად არ იყოს ეს ძალიან სანახაობითი, მაგრამ ბავშვებმა დღეს უამრავი თვისება გამოავლინეს: სენსორიკა, დრამატურგია, ლიტერატურა, მათემატიკა; მთელი წლის განმავლობაში რაზეც იმუშავეს. მადლობა ქალბატონ მარინას.

მარინა კაკაბაძე: '' ყოველ წელს მეჩვენება, რომ მოდის უკეთესი და უკეთესი თაობა, არაფერია ამათთვის მიუწვდომელი და შეუთვისებელი, ისინი მთებს გადადგამენ ''.

ნანა დუნდუა: ''აღფრთოვანებული ვარ მარინა კაკაბაძის აქტივობებით, ის ზოგადად შემოქმედი ადამიანია, წყაროსავით მორაკრაკებს მისი შესაძლებლობები, ამ პროგრამაში ინტეგრირებულია

სწავლება და თამაში, ის ნოვატორი ქალბატონია, თორემ ამას ყველა ვერ გააკეთებდა, ეს ბავშვები აუცილებლად პროფესორები და მეცნიერ-მუშაკები გამოვლენ, მათში ისეთი ფუნდამენტია ჩადებული.''

მარინა ბაღდავაძე, ჯგუფის მეთოდისტი: '' ეს იყო ამ ბაგა-ბაღის ერთი აქტივობა, გვაჩვენეს ბავშვებმა თავიანთი შესაძლებლობები, ნახეთ, რომ სრული მზაობა აქვთ მათ სასკოლოდ, ეს ბავშვები ჩვენი ქვეყნის მომავალია, გვაქვს მათი იმედი, დიდი მადლობა ამ დღის ყველა მონაწილეს''.

''დედის ღიმილში აფეთქებული გაზაფხულია''

ნათია ნაცვლიშვილი

ემოციას უმატებს ხმაში ამ ლექსის წარმოთქმისას მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის პარლამენტის (ხელმძღვანელი ელიკო ანკვაბი) წევრი, თამარ ჯინჭველეიშვილი, გრძნობებს ჯერ ჩანახატად შეუკრავს და მერე იქვე მდგომ დედიკოს ყვავილებსაც აჩუქებს ამავე პარლამენტის წევრი, ლუკა ტუღუში. განსაკუთრებულად ესათუთება დედას სალომე სტურუა. ''იმერეთის ხმა-2016-ის'' ტიტულის მფლობელი, ანსამბლ ''ორუდილას'' (ხელმძღვანელი ნონა ჭახნაკია) სოლისტი საბა ქავთარაძე ულამაზეს მელოდიას ააჟღერებს, ქართული ცეკვის ცეცხლს კი ამავე სახლის ანსამბლების ''ლილესა'' (ხელმძღვანელი გელა თურმანიძე) და ''შოუ-ბალეტ ფანტაზიას'' (ხელმძღვანელები ქრისტინე ზაქრაძე და ნანა ბებია) წევრები დაანთებენ. ყველა ხალასი ნოტი, სტროფი, ბგერა და გაზაფხულის ფერთა უხვი პალიტრა იმისთვის მოიმარჯვეს, დედებს, დებს, სატრფოებს, მეუღლეებს გაზაფხულის ლამაზი დღესასწაულები რომ მიულოცონ. ამ სახლში ხომ ყველა თარიღს და მოვლენას ეხმაურებიან, ეს ღონისძიება კი, უმთავარესად ამავე სახლის პედაგოგ ქალბატონებს მიეძღვნა, თავიანთ საქმეს იდეალურად, რუდუნებითა და სიყვარულით რომ აკეთებენ. ყვავილებით სავსე კალათიდან თავადვე ამოალაგა იები და ენძელები და დაურიგა სტუმარ ქალბატონებს სახლის დირექტორმა, ტატა გოგუაძემ და მათ ქალთა დღესასწაულები მიულოცა. ღონისძიება სახლის მეთოდისტმა, ხათუნა კლატეიშვილმა წაიყვანა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ''პოეზიის აფთიაქის'' სახელწოდებით წარმოდგენის შემდეგ, მისივე დაწერილი პიესა ამავე უნივერსიტეტის სტუდენტმა ლაზარე ნინუამ რეჟისორ ვეფხია სტურუასთან ერთად წარმოადგინა და აუდიტორიის აპლოდისმენტებიც უხვად დაიმსახურა.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ხშირმა სტუმარმა, დეკანოზმა რომანოზმა (ნინუა) დალოცა შეკრებილნი და აღნიშნა: ''უფალმა კანას გალილეაში, ქორწილში მოახდინა პირველი სასწაული, წყალი ღვინოდ აქცია, იმიტომ, რომ დედაღვთისმშობელს შეუსრულა გულის წადილი, არადა, ნაწინასწარმეტყველევი იყო, სასწაული იერუსალიმში მოხდებოდა...'' მოძღვარმა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის ქალბატონებს დედის დღე მიულოცა და ყოველივე საუკეთესო უსურვა.

მინიატურები

***
წვიმის შემდეგ ცა ბრძოლის
ველს ემსგავსება
დღე ლაპლაპებს ვით მებრძოლთა
აჩრდილივით.
ცა და მიწის ომის შემდეგ
ცისარტყელა
დაპფრიალებს ჩაგდებული
მანდილივით...
***
ეს შენი მზერა დასდებია
შენს სახეს ისე,
ვით იებს ნამი დილის
ცვარივით,
შენი თვალების ჭურჭელი ვარ
ძირგატეხილი,
ჩემში მეღვრება შენი სახე
ნაკურთხ წყალივით...
***
ჰა, ღრუბლებს სძინავთ
ისე ლამაზად,
სახე ვერცხლპერანგაფარებული
და მთვარე უდევს თავქვე ბალიშად
ტკბილსიზმარფესვებგახარებული.

***
ისე არ აყვავდებიან
ჩირგვებში ნორჩი იები,
რომ არ ისწავლონ ზეპირად
ვაჟა-ფშაველას ლექსები...
ისე ვერ გაძლებს ყვავილნი,
მგოსნის სიტყვებით ნასხლავი,
ერთხელაც არ ინახულოს
ვაჟა-ფშაველას საფლავი.
***
დამთავრდა უკვე დამალობანას
თამაში აწი,
ბალახებიდან "დამასტუკა" ხისქვეშ ენძელამ,
ყვავილებიდან ჭრელი პეპელა აფრინდა ისე,
დედის სუნთქვით აფრიალდა ნელ-ნელა თითქოს.
***
თითქოს და, ბებომ სოფლის საბუდარს
ნელა მოხადა თეთრი თავშალი
და გაზაფხული ისე მოფრინდა,
კი არ მოფრინდა,
პაწია გვრიტებს ბარტყებივით
ფრენას ასწავლის...

ეროვლე თეფსურია

ახალგაზრდებს!

ჩუხჩუხებს წყარო ანკარა,
ეს დასასრული როდია?
ბრწყინვალე ახალგაზრდები,
ახალგაზრდები მოდიან!
გთხოვთ, გზა დაუთმოთ ძველებმა,
ჩვენი დრო უკვე წავიდა,
როდის იყო, რომ ცხოვრება
კვლავ იწყებოდა თავიდან.
ვჭირდებით? გვერდში დავუდგეთ,
მათ ჩვენი სიბრძნე სჭირდებათ?
თუკი ერთმანეთს გაუგებთ,
არასდროს გაგვიჭირდება.
წყარო წკრიალა ჩუხჩუხით
ახალგაზრდები მგონია,
მთელი ქვეყანა შეცვალეს
რამხელა ძალა ჰქონიათ.
ამ ლექსს ვწერ გურიის მთებში,
წყარო ანკარა იღვრება,
კაცმა აქ უნდა იცხოვროს,
არასდროს არ დაიღლება.
ჩუხჩუხებს წყარო ანკარა,
ეს დასასრული როდია?
სიცოცხლის გამგრძელებლები
ახალგაზრდები მოდიან.
დამილოცნიხართ ყველანი
ლამაზებო და ჭკვიანნო
სიკეთის მატარებელნო
თქვენ მართლა ადამიანნო.

სიცოცხლე ჩემი და მუზა ჩემი

მე ჩავიძირე ფიქრის მორევში,
გგონიათ რამე თავისით მოდის?
რა გითხრათ, მაგრამ რა გითხრათ, მაგრამ
არანაირად არ მჯერა, მოდის!
არანაირად არ მჯერა იმის,
რომ ვაჭარი ვარ დამტარებელი
ლუკმა-პურია ჩემი მიზანი
და იმედია მატარებელი.
ღმერთის მოყვარე, ხალხის მოყვარე,
მწარე ცხოვრებამ ძლიერ დამღალა,
მან დაამწუხრა, მან აატირა
ჩემი დაფი და ჩემი ნაღარა.
ხალხს შემახვედრა, ბრძენია ხალხი,
ყოვლის დამნახი, მატარებელი
და ხალხი ჩემთან და ხალხი ღმერთთან
მიდის ცხოვრების მატარებელი.
ლექსია ჩემი ცხოვრების აზრი,
ჩემი ლხინი და მაწვალებელი,
სიცოცხლე ჩემი და მუზა ჩემი
ხალხია ჩემი მასწავლებელი.

ზუმანა კალანდაძე

ციცქნა წერილს მონატრება ჰქვია



არა, პომპეზურად არა, დიდი სიყვარულითა და პატივისცემით აღვნიშნავდით ამ დღეს, გულწრფელად ვულოცავდით ჩვენს უფროს კოლეგასა და მეგობარს, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანს ბატონ **ოთარ ნაფეტვარიძეს** დაბადების დღეს.

მამა 37-ში გადაუსახლეს.

ძმები მოხალისედ წავიდნენ ომში, უკანასკნელ ბუნაგამდე სდიეს მტერს და შინ ვალმოხდილები დაბრუნდნენ.

საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციების წევრი, საქალაქო საბჭოს აღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე ქვეყნისა და რედაქციისათვის ყველაზე რთულ პერიოდში მუშაობდა რედაქციის ეკონომიკის განყოფილების გამგედ. ბატონმა ოთარმა შეძლო, მრავალრიცხოვან ნაცნობთა, მეგობართა წყალობითა და მისი დიდი ძალისხმევით, გაზეთი დახურვას გადაერჩინა.

ამ რამდენიმე სიტყვით ყველაფერია ნათქვამი მისი დიდი, დაუვიწყარი დამსახურების შესახებ რედაქციის წინაშე.

სხვა თემაა მისი პუნქტუალობა, ალალმართლობა, თავმდაბლობა და ა. შ.

ღრმად მოხუცს ცხოვრებამ თითქოს უმკაცრესი გამოცდა მოუწყო, ახალგაზრდა ვაჟიშვილი გარდაეცვალა მოულოდნელად.

ვითომ გაუძლო...

თავად ბატონი ოთარის გარდაცვალებაც მოულოდნელად შევიტყვეთ მისმა კოლეგებმა და ალალი ცრემლით გავაცილეთ იმქვეყნად.

15 მარტს ბატონი ოთარ ნაფეტვარიძის დაბადების დღეა!

ერთსა და იმავე წლის 15 მარტს იყვნენ დაბადებულები ოთარ ნაფეტვარიძე და წლების მანძილზე ჩვენი გაზეთის პასუხისმგებელი მდივანი **შოთა მაღლაკელიძე,** ერთად ვრანდავდით სტრიქონებსო, იტყოდნენ ხოლმე. მოსაგონებელი და გასახსენებელი ბევრი ჰქონდათ, ჩვენც მრავალი ლამაზი მოგონება დაგვიტოვეს.

საშუალო და უფროსი თაობის სამტრედიელებს კარგად ახსოვთ ბატონი **დომენტი გოგიტიძე,** ალალმართალი, მოლექსე კაცი, ბავშვები, პატარები რომ უყვარდა მომეტებულად.

მანაც დიდხანს იმუშავა ადგილობრივ თუ ცენტრალურ გაზეთებში შტატიან თუ უშტატო კორესპონდენტად, პირნათლად მოიხადა სამშობლოს წინაშე მხედრული ვალი და ვალმოხდილმა დატოვა წუთისოფელი. მისი დაბადების დღეც იყო ამ დღეებში.

ნათელში იყავით, ჩვენო უფროსო კოლეგებო!

ლევან გაბეჩავა

სათნო სახე

დავაკვირდეთ სათნო სახეს,
ღიმილს როგორ იმეტებს,
თითქოს გულში ჩაუსახლეს
მზე და ის აიმედებს.
მინდობილი გულისხმევას
თავს უფლებას ანიჭებს,
სურვილებით ჩვენს სულს კვებავს,
უხსნის თანხვედრ კარიბჭეს.
აჰ, ღირსების საკითხია
ღვთიურ ძალთ შეგონება,
რომ, სიცოცხლეს, ცეცხლი ჰქვია
სიყვარულს ემონება.
არ დაეძებს, იყოს მტერი
გულისკარს არ დარაზავს,
შიშს ბადებდეს, ცის იერი
ენთოს სულის დარაჯად.
და მაინც რომ, აეხსნით ნებად
გულს რომ ანაღვლიანებს,
და აღიძვრის ჩაფიქრებად
ოდეს დააგვიანებს.

დავით ჩირგაძე

რესპუბლიკის ქუჩაზე მცხოვრები უახლოესი მეზობლები მწუხარებითა და გულისტკივილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მიშიკო ქართველიშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

რესპუბლიკის ქუჩის № 1 ბინაში მცხოვრები მეზობლები სამძიმარს უცხადებენ მარინა ქართველიშვილს ძმის

მიშიკო ქართველიშვილის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს ბორის ფოცხვერაშვილს მეუღლის, ქალბატონ

ფლორა ლეკვეიშვილი-ფოცხვერაშვილის

გარდაცვალების გამო.

ნათელა და ვაჟა ტერელაძეები ოჯახით მწუხარებით იუწყებიან ჩვენი რაიონის ქალთა საზოგადოების ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენლის, სულით მდიდარი და თავმდაბალი ქალბატონის, ღირსეული მეუღლის, დედისა და ბებიის

ფლორა ლეკვეიშვილი-ფოცხვერაშვილის

გარდაცვალებას და უსამძიმრებენ ბატონ ბორის ფოცხვერაშვილის დიდ ოჯახს.

13 წლის მანანა მუქერიას სენსაციური გამარჯვება საქართველოს ევროვნულ ჩემპიონატზე

26-27 თებერვალს ქალაქ თბილისში ჩატარდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი კონტაქტიან კარატეში (კიოკუშინკაი კარატე) აბსოლუტურ წონით კატეგორიაში, როგორც მამაკაცებში, ასევე ქალებში.

აღნიშნულ ჩემპიონატში მონაწილეობდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის კარატეს ჯგუფის წარმომადგენლები (სპორტსკოლის დირექტორი ივანე კილტავა, მთავარი მწვრთნელ-მასწავლებელი, სენსეი მიხეილ ქანთარია).

წარმატებით იასპარეზეს 13 წლის მანანა მუქერიამ და 14 წლის მარიამ გოგიტაურმა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მანანა მუქერიას მიერ ჩატარებული ორთაბრძოლები. მან დაამარცხა მასზე 12 და 8 წლით უფროსი მოწინააღმდეგეები და დამსახურებულად დაიკავა პირველი ადგილი, მოიპოვა ეროვნული ჩემპიონატის ჩემპიონის წოდება.

ასევე წარმატებით იასპარეზა მარიამ გოგიტაურმა, რომელმაც მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა.

ჩემპიონები და პრიზიორები დაჯილდოვდნენ დიპლომებით, მედლებით და თასებით.

მიხეილ ქანთარია

მარტი, მარტი, მარტი,
ოჰ, ეს მარტი...

ჩვენო მარეხ და ჯიმი!

გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ ულევ სიხარულს, სიყვარულს, დღეგრძელობას. ძალიან გვიყვარხართ. იხარეთ და იმრავლეთ!

ნათლი, სოჭო, ანასტასია, ია

გილოცავთ გაბედნიერებას. შვილთა სიმრავლე და უფლის მფარველობა არ მოგაკლოთ უფალმა. იხარეთ და იმრავლეთ!

"სამტრედიის მაცნე"

გიორგი ხატიაშვილი და ბექა შავგულიძე _ პირველი ეტაპის გამარჯვებულები

ავტო-მოტო კლუბ "იმერეთმა" 5 მარტს სამტრედიაში წყვილთა რბოლა ჩაატარა. ამით გაიხსნა დასავლეთის ჩემპიონატის პირველი ეტაპი. შეგახსენებთ, რომ სულ 5 ეტაპი ტარდება დასავლეთ საქართველოში. აქედან სეზონის პირველი ეტაპის გახსნა სამტრედიაში მოხდა. მეორე ეტაპი 6 მაისს ქალაქ ქუთაისშია დაანონსებული. მესამე ეტაპი, 25 ივნისს ზუგდიდში გაიმართება, მეორე ეტაპი, 23 ივლისს _ ფოთში, მე-5 ეტაპი, 24 სექტემბერს სეზონი ქუთაისში დაიხურება.

რბოლა ორ სახეობად დაიყო: წინა წამყვანღერძიან ავტომობილებსა და უკანა წამყვანღერძიან ავტომობილებში. მასში მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს მასშტაბით ყველა ქალაქიდან ჩამოსული სტუმარი, მათ შორის საქართველოს მოქმედი ჩემპიონი და იმავდროულად იმერეთის ჩემპიონი, გიორგი ხატიაშვილი. მან დასავლეთის პირველი შეჯიბრი წინა წამყვან ღერძიან ავტომობილებში ასევე მოგებით, ანუ პირველი ადგილით დაიწყო.

5 მარტის რბოლაში უკანა წამყვანღერძიან ავტომობილებში ავტო-მოტო კლუბ "იმერეთის" წევრმა, ბექა შავგულიძემ გაიმარჯვა.

დასავლეთ საქართველოს ჩემპიონატის პირველ ეტაპს ესწრებოდნენ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ვალერიანე ფოცხვერია, საპატრულო პოლიციის დანაყოფი, ასევე, ადგილობრივი პოლიციისა და სახანძრო-სამაშველო სამსახურის წარმომადგენლები. რბოლას უძღვებოდნენ FIA-ს კატეგორიის მსაჯები გოგი ვაშაყმაძის ხელმძღვანელობით.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა მონაწილეები სამახსოვრო საჩუქრებით დააჯილდოვა. კლუბის სპონსორმა "ოტო-მოტომ" ძრავის ზეთი და სხვადასხვა ავტონაწილებზე ფასდაკლების ვაუჩერები გადასცა რბოლაში გამარჯვებულებს.

ნინო ანანიტაშვილი



"სამტრედიის მაცნეს" ქალთა კოლექტივს!

გილოცავთ ქალთა და დედის დღეებს. ღმერთმა მრავალს დაგასწროთ თქვენს საყვარელ ადამიანებთან ერთად. იხარეთ და იბედნიერეთ!

ავთანდილ კაპია
შინაგან საქმეთა სამინისტროს სამტრედიის ვეტერანების გაერთიანების თავმჯდომარე

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

მაცნე სამტრედიის

დირექტორი ბექან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა